ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 19 ნოემბერი, 2021 №219 (8748) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

ხობში 12 წლის ბიჭი 40 წლის მამაკაცმა გააუპატიურა

სარფის საბაჟოზე 5 კგ ოქროს ნაწარმი ამოიღეს

გვ.5

სააკაშვილმა გლდანის ციხეში გონება დაკარგა

გვ.2

„სააკაშვილი გლდანიდან დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გადაყვანილი“

ნიკა გვარამია: „ექიმებმა ძალიან იყოჩალეს“



გვ.3

ეკატერინე ტიკარაძე თანახმაა, რომ სააკაშვილი გლდანის ციხიდან გადაიყვანონ

„სააკაშვილის უფლებები ირღვევა. ის, რაც დღეს ხდება, ბარბაროსობაა“

გვ.3

კახა კუკავა: „სალომე ზურაბიშვილის განცხადებებზე მსჯელობა სასაცილოა“

გვ.2

„სააკაშვილმა უმაღლესი სამედიცინო დახმარება უნდა მიიღოს“

ვახტანგ ძაბირაძე: „სააკაშვილის სიცოცხლეზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის სტაბილურობა“

გვ.3

გვ.4

„ქართულმა ოცნებამ“, რისი გაფუჭებაც შეეძლო, ყველაფერი უკვე გააფუჭა“

გოგი წულაია: „უფსკრულის წინაშე ვდგავართ. კიდევ ერთხელ ერთპარტიულობა არ უნდა დავუშვათ“

„პარლამენტის ბოიკოტირებაზე არ ვფიქრობ“

გვ.2

ხათუნა სამნიძე: „ოცნება“ პარტიული ინტერესებით მოქმედებს, რაც მათთვისაც დამღუპველი იქნება და ქვეყნისთვისაც“

ირაკლი ღარიბაშვილის სახლთან აქციაზე ხმაური იყო

გვ.4

პაატა შევარდნაძე: „სააკაშვილის უფლებები სახელმწიფომ უნდა დაიცვას“

გვ.4

ISSN 1987-9385

4 ძვირდება თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა?

5 ილია დარჩიაშვილი: „საქართველომ Trace International-ის კორუფციის რისკისგან თავისუფლების ინდექსში პირველი ადგილი დაიკავა“

5 საქართველო, კანონისა და წესრიგის გლობალური ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს საუკეთესო ოცეულშია

6 გერმანიაში 24 საათში კოვიდის 65.000 შემთხვევა დაფიქსირდა

სააკაშვილმა გლდანის ციხეში გონება დაკარგა

ნიკა გვარამია: „ექიმებმა ძალიან იყოჩაღეს“

18 ნოემბერს, საღამოს, საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გლდანის ციხეში გონება დაკარგა.

ამის შემდეგ პირველი ინფორმაცია მისმა ადვოკატმა ბექა ბასილაიამ გაავრცელა:

– ადვოკატები მიხეილ სააკაშვილთან შესახვედრად მივედით. შეხვედრის დამთავრებისას სააკაშვილი მოწყვეტით წაიქცა, თვალებს ვუხელდით, 10 წუთი უგონო მდგომარეობაში იყო. საკაცით აიყვანეს მაღლა, ახლა როგორ არის არაფერი ვიცი.

მოგვიანებით კომენტარი რეანიმატოლოგმა გულიკო ქილიფთარმა გააკეთა.

როგორც ექიმმა გლდანის ციხესთან მედიას განუცხადა, მას პაციენტი უნდა ენახა და აღნიშნულ ინციდენტს შემთხვევა შეესწრო.

– ჰემოდინამიკა, ოქსიგენაციის მაჩვენებლები, სუნთქვის პარამეტრები არის ნორმის ფარგლებში. იყო სინკოპეს ანუ გულის წასვლის ეპიზოდი, დღეს მოვედი იმიტომ, რომ მენახა პაციენტი, სანახავად მოვედი და ასეთი რამ მოხდა. მცირე რენიმაციული ღონისძიებების შედეგად მისი მდგომარეობა სტაბილურია, – განაცხადა მან.

რეანიმატოლოგის თქმით, პაციენტი საჭიროებს გამოკვლევებს.

– მე მოვხვდი აქ შემთხვევით. მე ვარ კონსულტაციისთვის მოსული პაციენტთან. მორიგეობს ყოველდღე რეანიმაციული ბრიგადა. ახლახანს მოხდა ეს, პაციენტი მოითხოვს კიდევ გამოკვლევებს, უამრავი კვლევებია გაგზავნილი. მეც პირადად აქედან არ წავალ, სანამ ყველაფერი არ დასრულდება, – განაცხადა ექიმმა.

მედიასთან სააკაშვილის ადვოკატმა ნიკა გვარამიამაც ისაუბრა.

– სააკაშვილი ახლა კარგადაა. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მეც ვიყავი პალატაში და ვადასტურებ ამას, ჩემი თვალით რაც მაქვს ნანახი, იმას ვამბობ. ასევე, უნდა ვთქვა, რომ ძალიან იყოჩაღეს ექიმებმა და განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, შეიძლება გაგიკვირდეთ, ქალბატონი დემურიშვილი.

პირდაპირი მნიშვნელობით, ამ ადამიანებს რატომ ზაფრავენ და მუდმივი სტრესის ქვეშ ამყოფებენ, ახლა უკვე ექიმებსაც ვგულისხმობ, ჩემთვის გაუგებარია.

უკვე წამოსვლას ვაპირებდით, რომ ზედმეტად ენერგია არ დაეხარჯა ჩვენზე, დილიდანაც, როგორც ვიცი, ცუდად იყო და ამდენი ჩასვლა-ამოსვლა, ლაპარაკი... ლაპარაკი უჭირდა და თავის დაჭერა უჭირდა... მერე უკვე რომ გამოვდიოდით ჩვენ, ადგა და გაჰყავდა ბადრაგს და მოწყვეტით დაეცა.

...მოკლედ, მოვიდნენ ექიმები, მე კი მომეჩვენა საუკუნედ, სანამ ჩამოვიდნენ, მაგრამ სინამდვილეში მოკლე ხანში ჩამოვიდნენ, აიყვანეს და რამდენიმე წუთში მეც ამიყვანეს. იყო მართლა გაუგებარი ფერი... როგორც კი ეს დაუყენეს სისტემა, ფერზეც მოსულია და კონტაქტურია, იმიტომ რომ, ქვემოთ რომ წაიქცა,

კონტაქტური არ იყო და, მართალი რომ გითხრათ, ჩავთვალე, რომ ინსულტი იყო ან რაღაცა მსგავსი.

საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. ამჟამად ის იმყოფება რეანიმაციაში, ყველა ექიმი ადგილზეა და თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებენ.

რატომ ჩააგდეს ეს ექიმები ამ დღეში, არ ვიცი, მართლა მადლობის მეტს ვერაფერს ვიტყვი. ამ მდგომარეობაში მყოფი კაცი გამოიყვანეს მდგომარეობიდან. მთავარი ჩემი ინტერესია, რომ ეს კაცი აქედან გავიდეს და ეს ყველაფერი შეწყდეს, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

„პარლამენტის ბოიკოტირებაზე არ ვფიქრობ“

ხათუნა სამნიძე: „ოცნება“ პარტიული ინტერესებით მოქმედებს, რაც მათთვისაც დამღუპველი იქნება და ქვეყნისთვისაც“

იაგო ნაცვლიშვილი

როგორ აფასებს ხელისუფლების პოლიტიკასა და მის გაჯიუტებას მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობაზე? ხომ არ ელოდება სახალხო დამცველის გადაყენებაზე პროცედურების დაწყებას „ოცნების“ მხრიდან და ხომ არ ფიქრობს პარლამენტის ბოიკოტირებაზე? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ფრაქცია „რეფორმების ჯგუფის“ თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე საუბრობს.

– ვხედავთ, რომ ხელისუფლება გაჯიუტებულია მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანასთან დაკავშირებით. ამჯერად უკვე ექიმებთან შევიდნენ დისკუსიაში, რომლებიც ომბუდსმენმა შეკრიბა და სააკაშვილის ჯანმრთელობაზე დადეს დასკვნა. მათთან პოლემიკა რას მოასწავებს?

– „ქართული ოცნება“ ბოლომდე ვერ აცნობიერებს ქვეყანაში შექმნილი კრიზისის სიმძიმეს. ერთია, რომ ეს პრობლემა აქვთ და მეორეა, რომ მათ ჰგონიათ, ამ კრიზისში შეძლებენ თავის გატანას და საზოგადოების ამ შფოთვასა და შიშში ყოფნა მათ გამოადგებათ. ამ ვითარებაში ვერ აცნობიერებენ ისინი, რომ ქვეყანა დგება საფრთხის ქვეშ და, თუ ვლაპარაკობთ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზე სხვა პრობლემებთან ერთად, როდესაც შენი ქვეყნის ხელისუფლება ასეთ განცხადებებს აკეთებს დასავლელი პარტნიორების მისამართით, ეს, რა თქმა უნდა, საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებასაც და ჩვენს სტრატეგიულ არჩევანსაც.

– როგორც თქვით, ხელისუფლება ფიქრობს, რომ ვითარებას სათავისოდ გამოიყენებს და არ გამოადგება ეს სათავისოდ?

– როდესაც ხელისუფლება გადაწყვეტილების მიღებაზე ფიქრობს არა ქვეყნის ინტერესებიდან, არამედ მხოლოდ პირადი პარტიული თუ ერთი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს, რა თქმა უნდა, დამღუპველი იქნება როგორც ქვეყნისთვის, ასევე მისთვის. შეუძლებელია, პოლიტიკური ძალა გადარჩეს, თუ ის გადაწყვეტილებას არ იღებს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

– სახალხო დამცველის მისამართით იმატებს ხელისუფლების მხრიდან უკმაყოფილება და ხომ არ ელოდებით, რომ სახალხო დამცველის იმპიჩმენტის მიმართულებითაც დაიწყებენ რაღაც პროცედურებს?

– არა, ამას არ ველოდები. ხელისუფლება ვერ იტანს, როდესაც მისგან განსხვავებული პოზიციები ფიქსირდება და როდესაც ასეთი განცხადებების ავტორები ან ვითარების შემფასებლები არიან ძლიერი ინსტიტუციის წარმომადგენლები. ამიტომ არის მისი თავდასხმები სახალხო დამცველის ინსტიტუტზე. მის ბუნებაშია ასე, რომ ის თავს უნდა დაესახას ყველას, ვის პოზიციებსაც არ ეთანხმება და ვისაც საზოგადოებაში ავტორიტეტი აქვს.

– სააკაშვილის ჯანმრთელობის მხრივ როგორია თქვენი მოლოდინი, საბოლოოდ გადაიყვანენ მულტიფუნქციურ სამოქალაქო კლინიკაში?

– მიჭირს პროგნოზების გაკეთება ასეთ არაპროგნოზირებად ვითარებაში, მით უმეტეს, როდესაც „ქართული ოცნება“ არ ითვალისწინებს არც სამედიცინო პერსონალის დასკვნასა და არც საერთაშორისო პარტნიორების რეკომენდაციებს. არც იმას ითვალისწინებს, რა მდგომარეობაც არის შექმნილი საქართველოში. მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის შიმშილობა არ არის ეს. ამას ემატება ელენე ხოშტარიას შიმშილობის საკითხი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც დღითიდღე ძალიან მძიმდება. ასევე ემატება სხვა დეპუტატების დაწყებული შიმშილობებიც, რომლებმაც რამდენიმე დღეა, შიმშილობა გამოაცხადეს პარლამენტის დარბაზში.

ეს არ არის მხოლოდ ერთი ნაბიჯი. ეს არის რამდენიმე ნაბიჯი, რომლითაც უნდა განიმუხტოს კრიზისი. ეს მხოლოდ ხელისუფლების ხელშია. მიუხედავად „ქართული ოცნების“ არაადეკვატურობისა, მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ის ამ კომპლექსურად შექმნილ ძალიან მძიმე პოლიტიკურ კრიზისში, რომელიც სახელმწიფოებრივ კრიზისშიც გადადის, რადგან აცხადებენ, ვერ დავიცავთ ადამიანებსო, გონს მოვა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს დასჭირდება ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერა.

– რწმენას, რომ ხელისუფლება გონს მოეგება და დაიწყებს კრიზისის განმუხტვას, რა გაძლევთ?

– მე მგონი, ამაზე გიპასუხეთ. ამაზე მეტს ვერ გეტყვით. იმედი რომ არ მქონდეს, შეუძლებელია რამეზე მსჯელობა. ადამიანის სიცოცხლეზეა ლაპარაკი.

– ალბათ გაქვთ უმრავლესობის დეპუტატებთან ყოველდღიური ურთიერთობა და არაფორმალური საუბრები. მათი პოზიცია არაფორმალურ ფორმატშიც იგივეა, რაც გვესმის საჯაროდ?

– ეს არის პოლიტიკა და გადაწყვეტილებები. აქ საჯარო განცხადება და კონკრეტული ნაბიჯებია მნიშვნელოვანი და არა ის, ვინ ვის და რას ელაპარაკება. საჯაროდ ხელისუფლების წარმომადგენლები აფრქვევენ ზიზღს, სიძულვილს. დაპირისპირებასა და მუქარას. კონკრეტული ნაბიჯები არ იდგმება ხელისუფლების მხრიდან, რომლებიც განმუხტავდა კრიზისს და ეს არის მთავარი საკითხი ამ თემაში.

– რიგმა ოპოზიციურმა ფრაქციებმა თუ ცალკეულმა დეპუტატებმა გამოაცხადეს ბოიკოტი შექმნილი კრიზისის გამო. თქვენც ხომ არ ფიქრობთ ამ ნაბიჯზე?

– არა.

„სააკაშვილმა უმაღლესი სამედიცინო დახმარება უნდა მიიღოს“

აკაკი ზოიძე: „ჩემი მხრიდან ეს თემა პოლიტიკურად იქნება აღქმული... ის საზოგადოების გახლეჩას ემსახურება და ამიტომაც წამოვედი პოლიტიკიდან“

იაგო ნაცვლიშვილი

რამდენად სწორად იქცევა ხელისუფლება სააკაშვილთან მიმართებით და რამდენად სწორია ხელისუფლების წარმომადგენლების შესვლა ექიმებთან დისკუსიაში? — ამ საკითხებზე სასაუბროდ „ახალი თაობა“ ჯანდაცვის კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს წინა მოწვევის პარლამენტში და ჯანდაცვის ექსპერტს აკაკი ზოიძეს დაუკავშირდა, თუმცა მან მოკლე შეფასებები გააკეთა და თქვა, რომ პოლიტიკურ კონტექსტზე საუბრის სურვილი არ აქვს და სწორედ ამის გამო დატოვა პოლიტიკა.

– როგორია თქვენი პოზიცია მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობასთან დაკავშირებით? საინტერესოა თქვენი აზრი, როგორც ჯანდაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის, სპეციალისტისა და ადამიანის, რომელიც იყო „ქართული ოცნების“ წევრი. რამდენად სწორი მიდგომა აქვს ხელისუფლებას?

– მე შემიძლია, მოკლე კომენტარი გავაკეთო. მიხეილ სააკაშვილს, როგორც პატიმარს, ეკუთვნის უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურება. რაც კი სახელმწიფოს შეუძლია, ყველანაირი დახმარება უნდა გაუწიოს მას, იმის მიუხედავად, მისი არჩევანია თუ არა შიმშილობა და ა.შ. ასე რომ, აქ ორი აზრი არ არსებობს. დაცული უნდა იყოს მისი, როგორც პატიმრის უფლება. შიმშილობა არის მისი პროტესტი და მან უნდა მიიღოს უმაღლესი შესაძლებლობა, რაც შეეხება სამედიცინო დახმარებას. ეს არის ჩემი, როგორც ექიმისა და მოქალაქის პოზიცია.

დანარჩენს ვერაფერს ვიტყვი, იმიტომ რომ, რა კომენტარიც არ უნდა გავაკეთო, სამწუხაროდ, მაინც პოლიტიკურ პრიზმაში იქნება აღქმული დღევანდელ დღეს. არავითარი სურვილი არ მაქვს, პოლიტიკურ დებატებში ჩავერთო ამ თემაზე.

– დღეს ხედავთ, რომ მისი უფლებები დაცულია?

– მე გავაკეთე კომენტარი და ამის იქით დამატებით აღარ გავაკეთებ ამ თემაზე არც კომენტარს და არც სხვა შეფასებას. მადლობა ამ შესაძლებლობისთვის, მაგრამ პოლიტიკიდან იმიტომ წამოვედი, რომ სწორედ ეს არ მინდოდა. ის რომ პოლიტიზებული თემაა, ხომ კარგად გესმით?! მით უმეტეს ჩემგან იქნება ეს პოლიტიკურად აღქმული და არა სამედიცინო თვალსაზრისით.

მე მგონი, ჩემი პოზიცია ნათელია ამ კუთხით. ნებისმიერი მოქალაქის პოზიცია ასეთი უნდა იყოს, მაგრამ კონკრეტული გარემოებები, რა მდგომარეობაშია, როგორ არის, სად სჭირდება გადაყვანა და როგორ უნდა გაკეთდეს, ეს უკვე დებატების საგანია, რომელში ჩართვის სურვილიც არ მაქვს.

– სახალხო დამცველმა შექმნა ჯგუფი, რომელმაც დადო დასკვნა, თუმცა ხელისუფლებამ ისინი მიკერძოებულობაში დაადანაშაულა. ეს სწორი გგონიათ?

– კიდევ ერთხელ გეუბნებით, რაც ვთქვი, იმის იქით არაფრის თქმას არ ვაპირებ. დანარჩენზე უკვე გითხარით, რომ პოლიტიკაა და, თუ არ მეთანხმებით, გაგცემთ პასუხს, ოღონდ გულახდილად მითხარით, რომ არ არის პოლიტიკა, რაზეც ეს გითხარით.

– პოლიტიკა კი არის, მაგრამ სპეციალისტების პოზიციის დაფიქსირება მხოლოდ წაადგება პროცესს.

– სამწუხაროდ, ეს თემა კვლავაც და კვლავაც საზოგადოების გახლეჩისკენ არის მიმართული. სწორედ ამის გამო წამოვედი პოლიტიკიდან. ეს მხოლოდ და მხოლოდ პოლარიზაციას ემსახურება და სხვას არაფერს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილის უფლებები ირღვევა. ის, რაც დღეს ხდება, ბარბაროსობაა“

კახა კუკავა: „სალომე ზურაბიშვილის განცხადებებზე მსჯელობა სასაცილოა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა მთავარი პოლიტიკური თემაა.

– ეს ვითარება წარმოაჩენს ჩვენს მდგომარეობას და ქართული სახელმწიფო გამოიყურება ძალიან ულამაზოდ. არც ერთი მხარე, არც ხელისუფლება და არც ნაციონალური მოძრაობა, არ გამოიყურება ღირსეულად. ორივე მხარეს აქვს თავისი არგუმენტები. ყველაზე ცუდი რაც ხდება, არის ის, რომ საზოგადოების დიდ ნაწილსაც არასწორი პოზიცია აქვს. არის ეს ე.წ. სექტა, როგორც უწოდებენ, მთავრობის მომხრე სექტა, რომელიც ამბობს, რომ ყველაფერში მთავრობაა მართალი, ყველაფერში სააკაშვილი ტყუის და პირიქით. სინამდვილეში ასე არ არის.

– როგორ არის?

– მე მიმაჩნია, რომ სააკაშვილი უდავოდ დამნაშავეა. მას ჩადენილი აქვს მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის დანაშაულები და არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ციხიდან გათავისუფლდეს, პირიქით, მას უფრო მეტი დანაშაული აქვს ჩადენილი, ვიდრე ბრალი აქვს წარდგენილი. აი, ამ ნაწილში მე გავიზიარებდი მისი მოწინააღმდეგეების პოზიციას, მაგრამ არის გარემოებები, ყველაზე

მძიმე დამნაშავესაც კი, თუ ცივილიზაციასა და ცივილიზებულობაზე გვაქვს პრეტენზია, აქვს თავისი უფლებები, არა აქვს მნიშვნელობა, სააკაშვილია, ჰიტლერი თუ ჯაბა იოსელიანი. უფლებები ყველა პატიმარს აქვს და ეს უფლებები რომ ირღვევა, ამას ვხედავთ. პირველ რიგში ცალსახად რასაც ვუყურებთ, არის, მაგალითად, ის, რომ ის არ მონაწილეობს საკუთარ სასამართლო პროცესში, რაც უხეში დარღვევაა. სამართლიან სასამართლოზე როგორ უნდა ვილაპარაკოთ, ისედაც მურუსიძის სასამართლოს არანაირი ნდობა არა აქვს, მაგრამ მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, „ტროიკების“ შემდეგ რომ პროცესს არ ესწრებოდეს მსჯავრდებული. ნიურნბერგის პროცესს ესწრებოდნენ ფაშისტები თავიანთ ადვოკატებთან ერთად და პროცესს პრესა აშუქებდა. საქართველოშიც გვახსოვს ჩვენ, ჯაბა რომ ჯაბაა, მისი პროცესიც როგორი საჯარო იყო. ის, რაც ხდება დღეს, რომ სააკაშვილს არ აძლევენ საკუთარ სასამართლო პროცესზე დასწრების უფლებას, ეს ცალსახად, რა თქმა უნდა, ბარბაროსობაა.

– რისკებთან არის დაკავშირებულიო. რა რისკები არსებობს?

– პროცესზე დასწრება არანაირი რისკებით არ მართლდება. შესაძლოა, საავადმყოფოსთან დაკავშირებით იყოს მოსაზრებები და აქ შეიძლება ხელისუფლების არგუმენტები უფრო გავიგო.

– კლინიკაში გადაყვანა რისკების შემცველია?

– საჭიროებაზეც არის აქ საუბარი. ყველა გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული გარკვეული ბალანსის საფუძველზე, უსაფრთხოებასა და იმას შორის, თუ რა სჭირდება პატიმარს. ამბობენ, რომ ყველაფერი აქვთ, ყველა აპარატურა და, რა თქმა უნდა, თვითმიზანი არ უნდა იყოს კლინიკაში გადაყვანა, მაგრამ, პროცესს რაც შეეხება, აქ ცალსახად კანონი ითხოვს, რომ დაასწრონ. ვნახეთ, მოსამართლეც როგორ ითხოვდა პატიმრის მიყვანას და ამას არანაირი გამართლება არა აქვს. მე დარწმუნებული ვარ, რატი ბრეგაძე აუცილებლად ციხეში უნდა ჩაჯდეს. ჩვენ თუ სახელმწიფო ვართ, იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე აუცილებლად ციხეში უნდა ჩაჯდეს! ანალოგიურად მეორე მნიშვნელოვანი გარემოება, სადაც ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი გარემოება, სადაც ხელისუფლებამ სერიოზული დანაშაული ჩაიდინა სააკაშვილისა და მთლიანად სახელმწიფოს წინაშე, იყო ის, როდესაც ე.წ. შუმოკი მოაწყვეს. რას ნიშნავს ე.წ. შუმოკი, ვისაც ეს არ ესმის. ეს იყო პირადად ბიძინა ივანიშვილის დავალება. მან დაავალა ციხის ადმინისტრაციას და შემდგომ უკვე ციხის ადმინისტრაციამ მოახდინა შავი სამყაროს ორგანიზება. გესმით თქვენ, რაზეა საუბარი? ხელისუფლებამ ქურდებს სთხოვა, ახლა ამა და ამ საათზე მოვიყვანთ სააკაშვილს და თქვენ უნდა ატეხოთ გინებაო.

– ჩუმად უნდა მიეყვანათ?

– რა თქმა უნდა, ჩუმად უნდა მიეყვანათ. კომუნისტების დროსაც კი ყოველთვის იყო წითელი ზონა. სახელმწიფო მოხელეები და ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები იხდიდნენ სასჯელს ცალკე და შავი სამყაროს წარმომადგენლები – ცალკე, ეკონომიკურ დანაშაულზე – ცალკე და ეს დამკვიდრებული

ამბავია. პროკურორი რომ კანონიერ ქურდთან ერთად არ უნდა ჩასვა საკანში, ამას დიდი ფილოსოფია სჭირდება?! იმას, რაც ამათ გააკეთეს, ცალსახად არანაირი გამართლება არა აქვს.

– მიზანმიმართული პროცესი იყო ეს?

– რა თქმა უნდა! ეს იყო პირადად ბიძინა ივანიშვილის ბრძანება. არანაირი ეჭვები არ არსებობს ამასთან დაკავშირებით.

– პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებებიც მოვისმინეთ ამასთან დაკავშირებით, ცოტა შერბილებული ტონი ჰქონდაო. ამაზე რას იტყვით?

– სალომე ზურაბიშვილს პირადად ვიცნობ დიდი ხანია და, მინდა გითხრათ, რომ მის განცხადებებზე მსჯელობა უკვე სასაცილოა. როგორ ვთქვა, თან ზრდილობის ფარგლებშიც რომ დავრჩე, ის ძალიან არაგონიერი ქალია, ჩვეულებრივად იპრანჭება და ტელევიზორში უნდა გამოსვლა. მთელი ცხოვრება ოცნებობდა, გამხდარიყო პრეზიდენტი. გახდა პრეზიდენტი და აღმოჩნდა, რომ არავინ არაფერს არ ეკითხება, ამიტომ თავის თავს საქმეებს უგონებს. როგორ შეიძლება, სალომე ზურაბიშვილი სერიოზულად აღიქვა. უბრალოდ, მეცინება. საქართველოს ტრაგედიაა, რომ თუნდაც ფორმალურად მას პრეზიდენტის პოსტი უკავია.

– რა გამოსავალია ამ სიტუაციიდან?

– ერთადერთი გამოსავალი ამ ვითარებაში ვადამდელი არჩევნებია, ოღონდ, რა თქმა უნდა, ახალი კანონითა და ახალი საარჩევნო გარემოთი, რომელსაც ძალაუფლების გადანაწილება უნდა მოჰყვეს.

ეკატერინე ტიკარაძე თანახმაა, რომ სააკაშვილი გლდანის ციხიდან გადაიყვანოს

– ეკატერინე ტიკარაძე დაეთანხმა ყველა არგუმენტს, რომ დაწესებულებაში ასეთი მძიმე პაციენტის მკურნალობა არ არის მიზანშეწონილი და უკეთესია გადაყვანა.

ამის შესახებ სახალხო დამცველის მიერ შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ექიმმა გიორგი გრიგოლიამ 18 ნოემბერს საღამოს ჯანდაცვის სამინისტროში შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ექიმის თქმით, ჯანდაცვის სამინისტრო იმუშავებს იმაზე, რომ მოხდეს სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანა.

– საბოლოოდ ჩამოყალიბება უნდოდა ჯანდაცვის სამინისტროს, რამდენად შესაძლებელია სრულფასოვანი მკურნალობის გაწევა იმ დაწესებულებაში, სადაც იმყოფება. გადაწყვეტილებას სააკაშვილის გადაყვანა-გადმოყვანის შესახებ, რა თქმა უნდა, ჯანდაცვის სამინისტრო არ იღებს. კარგი ის იყო, რომ ორივე ჯგუფმა შეძლო, არგუმენტები მოეყვანა და დაერწმუნებინა, რომ ჯანდაცვის სამინისტრო იმუშავებს იმაზე, რომ მოხდეს, ალბათ, სააკაშვილის გადაყვანა.

ეკატერინე ტიკარაძის პოზიცია არის ისეთივე, როგორც ნებისმიერი ექიმის. ის იქცეოდა როგორც ექიმი და არა პოლიტიკური მოღვაწე და დაეთანხმა ყველა არგუმენტს, რომ იმ დაწესებულებაში ასეთი მძიმე პაციენტის მკურნალობა არ არის მიზანშეწონილი და უკეთესია გადაყვანა, – განაცხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა.

„სააკაშვილის სიცოცხლეზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის სტაბილურობა“

ვახტანგ ძაბირაძე: „სერიოზული პრობლემა აქვს ხელისუფლებას, რაზეც ღიად ვერ საუბრობს. სხვა შემთხვევაში, რა უდგას წინ სააკაშვილის ნებისმიერ საავადმყოფოში გადაყვანას?!“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, სახალხო დამცველის მიერ შექმნილ ექიმთა კონსილიუმის დასკვნას ირაკლი კობახიძემ ფეიკი უწოდა. ის აცხადებს, რომ სახელმწიფო ინტერესები სასწორზე ვერ დაიდება. არადა, მოთხოვნაა სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანა.

– რაც შეეხება კობახიძის განცხადებას კონსილიუმის დასკვნასთან დაკავშირებით, რომელსაც ფეიკს უწოდებს, გამოსავალი ძალიან მარტივია: ხელისუფლებამაც მოიწვიოს ალტერნატიული კონსილიუმი და მათაც დადონ დასკვნა. თუ დასკვნებში წინააღმდეგობები იქნება, ექიმთა ეს ორი ჯგუფი შეჯერდება, რა არის ფეიკი და რა არის რეალობა. ეს რაც შეეხება სააკაშვილის ჯანმრთელობას, როგორია რეალურად ის.

რაც შეეხება მეორე საკითხს: როგორც ჩანს, სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანა არ უკავშირდება მხოლოდ მის ჯანმრთელობას.

– კობახიძე სახელმწიფო ინტერესებზე საუბრობს. როგორ ფიქრობთ, რას შეიძლება, გულისხმობდეს?

– შეიძლება, ვივარაუდოთ შემდეგი რამ: ჯანმრთელობასთან ერთად, სააკაშვილის ფიზიკური უსაფრთხოების საკითხი შეიძლება

იდგეს. ცალსახაა, რომ ხელისუფლება აბსოლუტურად ყველაფერზე აგებს პასუხს, პასუხს აგებს ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებაზე. სტაბილურობაზე პასუხისმგებლობა უშუალოდ ხელისუფლებას ეკისრება და არა – ოპოზიციას. არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილის ფიზიკური ლიკვიდაციის რაიმე სახის საფრთხე არსებობდეს და ამიტომ მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სწორედ ციხის საავადმყოფოში იყოს ყველაზე კარგად შესაძლებელი. მე ჩემს ვარაუდს გამოვთქვამ, მაგრამ, ასეთი ინფორმაცია რომც არსებობდეს, ღიად ვერ ისაუბრებს ამაზე ხელისუფლება, მაშინ რეალური, ხელშესახები მასალა უნდა გააცნოს საზოგადოებას.

– ვისი მხრიდან შეიძლება, ეს საფრთხე მოდიოდეს? ხელისუფლება ამბობს, ოპოზიცია გაიტაცებსო.

– არა, აქ მე უფრო სხვა ძალების ინტერესს ვხედავ და ეს გარეძალები უფროა, ვიდრე ქვეყნის შიგნით ოპოზიციის ინტერესი იყოს სააკაშვილის გატაცება. როგორც ჩანს, ეს ჰქონდა მხედველობაში კობახიძეს, როდესაც სახელმწიფოს ინტერესებზე საუბრობდა.

ოპოზიცია როდესაც გარანტიებზე საუბრობს, გადაიყვანონ კლინიკაში და იქ მიტინგებს არ გავმართავთ, ახლოსაც არ მივალთო – შეიძლება, მათ მართლაც არ გამართონ აქციები, მაგრამ გაჩნდება სხვა საფრთხე. სააკაშვილის სიცოცხლეზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის სტაბილურობა. ამიტომ ხელისუფლება ვერ გამოვა პირდაპირ და ვერ ისაუბრებს მტკიცებულებების გარეშე, სხვა ქვეყანას ასე ღიად ვერ დაადებს ხელს. სერიოზულ პრობლემაზეა საუბარი. გზის გადაკეტვას რამენაირად დაარეგულირებს ხელისუფლება. რა მნიშვნელობა აქვს, რუსთავის ციხესთან გამართავენ აქციებს თუ თბილისში რომელიმე კლინიკის წინ?!

– თუმცა სააკაშვილი სრულიად თავისუფლად გადაადგილდებოდა თუნდაც უკრაინაში და, თუ ასეთი ინტერესი იყო მის მიმართ...

– და უკრაინაში სააკაშვილისთვის პრობლემის შექმნას რა აზრი ჰქონდა?! აზრი აქვს ახლა, როდესაც დაპირისპირების პიკია ქვეყანაში, რომ აქ ხანძარი გაჩნდეს. სააკაშვილის ლიკვიდაცია დეტონატორის როლს შეასრულებს, სიტუაციას ააფეთქებს.

რაც შეეხება იმას, რომ სახელმწიფომ როგორ ვერ უნდა უზრუნველყოს ერთი კაცის ფიზიკური უსაფრთხოება, მაპატიეთ, ზღაპარია. იქაც კი, სადაც ახლაა, სადაც დაცულობის მაქსიმუმია, რომელიც ქვეყანას შეუძლია უზრუნველყოს, არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება, პრობლემები იყოს.

მე ვფიქრობ, რომ სწორედ ეს სერიოზული პრობლემა აქვს ხელისუფლებას, რაზეც ღიად ვერ საუბრობს. სხვა შემთხვევაში, რა უდგას წინ სააკაშვილის ნებისმიერ საავადმყოფოში გადაყვანას?! ხომ ცალსახაა, რომ არგადაყვანით სერიოზულ პრობლემებს იქმნიან. ამ ფონზე, ლოგიკურად, უნდა გადაიყვანონ, მაგრამ, რაზეც ვსაუბრობ, მე ამ საფრთხეს ვხედავ.

– კობახიძემ სახალხო დამცველის პასუხისმგებლობაზეც ისაუბრა. როგორ შეაფასებთ ამ განცხადებას?

– ხელისუფლებას მინიმუმ 50 დღე ჰქონდა, რომ ის დაწესებულება, სადაც ახლა სააკაშვილია, იმგვარად მოეწყო, ისე გაემართა ინფრასტრუქტურულად თუ პერსონალის მხრივ, რომ არც ერთი კითხვა არათუ ექიმს, არავის არ გასჩენოდა. ორი სვლის გათვლა მაინც უნდა შეგეძლოს, როდესაც ხელისუფლება ხარ.

რატომ უნდა აგოს სახალხო დამცველმა პასუხი, რა დანაშაული ჩაიდინა?! თუ დანაშაულია ალტერნატიული კონსილიუმის შექმნა, თუნდაც პოლიტიკური მიკერძოებით, მათაც შექმნან თავიანთი ექსპერტებით დაკომპლექტებული კონსილიუმი და დასკვნები შეაჯერონ. ეს რა პრობლემაა?! განცხადებები კი არა, მოქმედებაა საჭირო.

„ქართულმა ოცნებამ“, რისი გაფუჭებაც შეეძლო, ყველაფერი უკვე გააფუჭა“

გოგი წულაია: „უფსკრულის წინაშე ვდგავართ. კიდევ ერთხელ ერთპარტიულობა არ უნდა დავუშვათ“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ახალი ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს გოგი წულაიას.

– საქართველოს თავის უახლეს ისტორიაში ბევრი მოვლენა გამოუვლია. ახლანდელი პროცესები თუ გაგონებთ რომელიმე მონაკვეთს?

– უახლოესი ისტორიის მონაკვეთებს – არა, უფრო შორეულ წარსულს მაგონებს, მაგალითად, მე-14, მე-15 საუკუნეებს. ისტორიკოსი არა ვარ, მაგრამ ისტორიისა რაღაც გამეგება და იმ პერიოდს ვიხსენებ. ასეთი გულგატეხილობა, ასეთი უიმედობა ბოლო ათწლეულების განმავლობაში არ მინახავს. ტრაგიკულიც ბევრი ყოფილა და მძიმე დღეებიც, მაგრამ ამისთანა დეპრესიის მოწმე პირველად გავხდით.

– როდის დაიწყო დეპრესია?

– ასე, 5 წელიწადია, დაიწყო, შემდეგ – გაღრმავდა. ახლა პიკზე ადის. დღესაც ველაპარაკე ხალხს. ყოველდღე უამრავ ადამიანთან მიხდება შეხვედრა. აბსოლუტურად ყველა საზღვარგარეთზე ლაპარაკობს. ზოგის ოჯახის წევრი უკვე გაემგზავრა აშშ-ში, ზოგი მომავალში აპირებს გაქცევას. ხალხს აქ აღარ ედგომება. ინფლაციამ საერთოდ ყველაფრის იმედი მოსპო. მე კი ვეუბნები, ნუ წახვალთ, სამშობლოში ეძიეთ ბედნიერება-მეთქი, მაგრამ უმრავლესობა მაინც გარბის. ჩემს თავზეც შემიძლია ვთქვა – შარშან უფრო იმედიანად ვიყავი.

– თქვენვე გაქვთ ნათქვამი, აშშ-ის საელჩოში გასაუბრების რიგს რომ მიაღწიონ, მსურველებს ორი წლით მოცდა უწევთ.

– ეგ – ლეგალურად წასვლის შემთხვევაში. ბევრი არალეგალურად მიდის. მექსიკის საზღვრიდან გადადიან. სავსეა გაქცეული ქართველებით მექსიკა.

– ქაოსური მიგრაციის შეჩერება შესაძლებელია?

– ამისათვის უნდა მოვიდეს სხვა ხელისუფლება. როცა ხელისუფლება იცვლება, მოქალაქეებს იმედი უჩნდებათ. შეიძლება, ხელისუფლებამ იმედი არ გაამართლოს, მაგრამ ეს სხვა საქმეა. როცა ამომრჩეველი საარჩევნო უბანთან მიდის, ხმას აძლევს და ამას ცვლილება მოაქვს, ყოველთვის ჩნდება სიახლე და რწმენა. ახლაც საჭიროა ცვლილებები, მრავალპარტიულობა და კოალიციური მმართველობა. რასაკვირველია, აუცილებელია ვადამდელი არჩევნები. ეს შეაჩერებს ხალხის გადინებას. სიტუაცია ჩიხში შედის. შუა ისევ მაგრად არის გაკრეფილი. ახლიდან გაკრიფეს.

– რაზე საუბრობთ?

– „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას ისევ ძველებური სიტუაცია აწყობთ. ამას დაემატა რამდენიმე პარტიის ერთობა. თურმე ნაცმოძრაობა, „ლელო“ და კიდევ ორი თუ სამი პარტია ყოფილა ოპოზიცია. ამას გვიმტკიცებენ. მესმის, რომ ამ ორგანიზაციებს უამრავი ფული, ჩვენზე მეტი რესურსი აქვთ, მაგრამ ისინი ჩიხიდან ქვეყანას ვერ გამოიყვანენ. ეს 4 თუ 5 პარტია არ არის მრავალპარტიულობა.

– მრავალპარტიული პარლამენტისათვის აუცილებელია საარჩევნო ცვლილებები. შეჩერებულია კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, რომლითაც ბარიერი დაიწევს და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება პროპორციული მოდელით.

– გეთანხმებით. არჩევნები უნდა გაიმართოს ნორმალურ გარემოში საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ. საზოგადოებამ უნდა გაიაზროს სიტუაცია და არჩევნებზე ხმები სწორად გადაანაწილოს. უფსკრულის წინაშე ვდგავართ. კიდევ ერთხელ ერთპარტიულობა (არც ორპარტიულობა) არ უნდა დავუშვათ. ამაზე ფიქრი მოგვიწევს სხვა პარტიებს. „გაკრეფილებმა“ ცალკე უნდა მოვილაპარაკოთ. ჩვენ უნდა გავმართოთ ერთმანეთთან კონსულტაციები, წამოვაყენოთ მოთხოვნები. ოპოზიცია მარტო ნაცმოძრაობა და მასთან შეკრული რამდენიმე პარტია არ არის. ქვეყნის ბედი წყდება. სერიოზულად გვაქვს საფიქრალი საარჩევნო გარემოზე, საარჩევნო კანონმდებლობის მიღება უნდა მოვითხოვოთ. ერთ-ერთი მუხლი უნდა შეეხოს ფინანსების ზედა ზღვარს. წინასაარჩევნოდ, არჩევნებზე ზოგი ფულიანი პარტია ფანტასტიკურ თანხებს ხარჯავს. ასე არ შეიძლება. უნდა დაწესდეს ზღვარი, რომლის ზევით თანხებს ვერ დახარჯავ. ცესკოს დაკომპლექტების წესი შესაცვლელია. ეს კომისია უნდა შედგებოდეს არაპარტიული ადამიანებისგან, პროფესიონალი თანამშრომლებისაგან.

– „გაკრეფილი“ პარტიების გაერთიანების ინიციატივით გამოდიხართ?

– სხვა გზა არ დაგვრჩენია. გინდა მესამე ძალა დაგვარქვან, გინდა – ოცდამეათე. ამას მნიშვნელობა არა აქვს. თუ ხელი არ გავანძრიეთ, თუ საზოგადოებაც არ მიხვდა, რომ ერთპარტიულობა უნდა დავამარცხოთ, ქვეყანა ჩიხიდან ვერ გამოვა, ხალხის მასობრივი გადინება გაგრძელდება და საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობა არ დარჩება.

– ცოტა ხნის წინ ნაცმოძრაობა აპირებდა მთელი საზოგადოების გაერთიანებას. ეს არ გამოუვიდა?

– ახლაც ლაპარაკობენ საზოგადოების ერთიანობაზე. აღმოჩნდა, რომ ნაციონალური მოძრაობისთვის საზოგადოების ერთიანობა ყოფილა „ლელოსთან“ და კიდევ ორ თუ სამ პარტიასთან კავშირი. „ქართული ოცნება“ მძიმე მდგომარეობაშია, ნდობა დაკარგა, რისი გაფუჭებაც შეეძლო, ყველაფერი უკვე გააფუჭა – ხალხი გააღატაკა, ვერ აღკვეთა კოვიდსიკვდილიანობა, სუსტი ეკონომიკა კიდევ უფრო დაასუსტა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყველა გადაიმტერა, ვინც მოკავშირე იყო, ყველას დაუპირისპირდა. ამ სიტუაციაში უნდა ვიფიქროთ გამოსავალზე, მათ შორის, სამართლიან არჩევნებსა და სამართლიან სასამართლოზე. საზოგადოება უნდა იყოს ფხიზლად და ფრთხილად. გარესაფრთხეებიც არსებობს. ოდესმე განვითარება ხომ უნდა დაიწყოს?! დღეს ხელოსნებთან მომიხდა კონტაქტი. ისინი ამბობდნენ, თუ რა დონეზე ავიდა მომსახურება. განვითარებულ ქვეყნებში ყველა დეტალი კომპიუტერიზებულია. ჩვენ სხვაგან ვართ – კანალიზაცია ვერ გამოგვიყვანია და გზა ვერ დაგვიგია. ბევრგან სოფლებში ხალხს ეზოებშიც არა აქვს წყალი. ამის გარდა, ყველაფერს მოვწყდით.

– საგარეო არენაზე?

– დიახ. სერიოზული მოვლენები ხდება უკრაინაში, პოლონეთში, ჩვენს სამეზობლოში. დუღილი მიდის ჩვენ გარეშე. ეკონომიკაზე უკვე ვთქვი. ჩვენ პრობლემებს არ ვაგვარებთ, დღე და ღამე ვლაპარაკობთ ერთ თემაზე – იმაზე, თუ როგორი პირობებია ციხის საავადმყოფოში. არ ვამბობ, რომ ამის განხილვა არ უნდა მოხდეს. უნდა მოხდეს, მაგრამ არა მუდმივად და ყველაფრის გადაფარვის ხარჯზე. ბევრი პრობლემა დაგვიგროვდა. საზოგადოებამ და „გაკრეფილმა“ პარტიებმა ამ ყველაფერზე უნდა ვიფიქროთ და მოვამზადოთ პირობები მრავალპარტიული მმართველობისათვის.

„სააკაშვილი გლდანიდან დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გადაყვანილი“

ნინო ლომჯარიას ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სახალხო დამცველის მიერ შექმნილმა სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფმა მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მდგომარეობის მონიტორინგის შედეგებზე 17 ნოემბერს, საღამოს, დასკვნა გამოაქვეყნა.

დასკვნის თანახმად, პაციენტ მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობის კრიტიკულობიდან გამომდინარე, მისი მკურნალობის გაგრძელება დაუყოვნებლივ რეკომენდებულია ფუნქციურად გამართულ და დიდი გამოცდილების მქონე პოლიპროფილურ ჰოსპიტალში, კერძოდ, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, რის პირობებსაც მე-18 დაწესებულების კლინიკა არ აკმაყოფილებს.

ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა 2021 წლის 17 ნოემბერს და განიხილა მონიტორინგის შედეგები. განხილვის პროცესში დისტანციურად მიიღო მონაწილეობა ექსპერტმა მამუკა მაჩაიძემ. სპეციალისტთა ჯგუფი შეფასებებში ეფუძნება პაციენტის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფის პრინციპს.

„1. ყველა ჩვენ მიერ ნანახი ფაქტობრივი მონაცემი მიუთითებს, რომ კლინიკა ამჟამად არის ფორმირების ეტაპზე. სამედიცინო აპარატურის ნაწილი არის ფუნქციური, ნაწილი გადის ტესტირების რეჟიმს. სამედიცინო პერსონალის დასაქმება, ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაიწყო 3 კვირის წინ.

2. მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების ნაწილი არ არის ადგილზე (მაგ. MRI, გულის კათეტერიზაციის ლაბორატორია), რის გამოც დახურული ციკლის შეკვრა შეუძლებელია. (იგულისხმება პაციენტის კლინიკური მდგომარეობის დამძიმებისას მისი სხვა კლინიკაში გადაყვანის საჭიროების მოხსნა.)

3. სამედიცინო პერსონალის კუთხით ამჟამად ადგილზეა შინაგანი მედიცინის ექიმი და რეანიმაციული ბრიგადა, რომელიც 24 საათის განმავლობაში არის ხელმისაწვდომი, ხოლო პაციენტისათვის პოტენციურად საჭირო სპეციალისტების ნაწილი მუდმივად ადგილზე არ იმყოფება.

მდგომარეობის შესაძლო დამძიმების შემთხვევაში ეს საკითხი პრობლემას წარმოქმნის, ვინაიდან ადგილზე არსებული ჯგუფის მიერ პაციენტის მართვა არ იქნება საკმარისი. მაგალითად:

– ჩვენ მიერ აღმოჩენილი ვერნიკეს ენცეფალოპათია არ იყო დიაგნოსტირებული ნევროლოგის რეგულარული კონსულტაციის არარსებობის გამო.

– შესაძლო გასტრო-ინტესტინალური სისხლდენის აღბათობის გამოკვლევის აუცილებლობა, საჭიროების მიუხედავად, დღის წესრიგში არ დამდგარა.

– ჰიპოკალემიის ფონზე პაციენტს უწყვეტი კარდიო ტელემეტრიის აუცილებლობა არ განხილულა – კარდიოლოგის მიერ პაციენტის შეუფასებლობის გამო.

4. დაწესებულებაში მუდმივად მორიგე რეანიმატოლოგის ხელმისაწვდომობა ქმნის უსაფრთხოების განცდას, რომელიც არ შეესაბამება რეალობას. იმის გათვალისწინებით, რომ პაციენტი საკმაოდ გამოფიტულია, რეანიმაციული ღონისძიებები, მათი საჭიროების დადგომის შემთხვევაში, მაღალი ალბათობით არაეფექტური იქნება.

5. ზოგიერთი სიცოცხლისთვის საშიში გართულების შემთხვევაში (მაგ: ინფარქტი, ინსულტი, თრომბოემბოლია), ადგილობრივი პერსონალის განმარტებით, იგეგმება პაციენტის გადაყვანა სხვა სამედიცინო დაწესებულებაში, რაც მისი მდგომარეობიდან გამომდინარე უკავშირდებოდა დაკარგულ დროს, რაც თავის მხრივ, კრიტიკულ საფრთხეს უქმნის პაციენტის სიცოცხლეს.

6. პაციენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გადაუდებელი გადაყვანის გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს სხვადასხვა რგოლებს შორის ხანგრძლივ კოორდინაციას.

პაციენტის მდგომარეობის კრიტიკულობიდან გამომდინარე, მისი მკურნალობის გაგრძელება დაუყოვნებლივ რეკომენდებულია ფუნქციურად გამართულ და დიდი გამოცდილების მქონე პოლიპროფილურ ჰოსპიტალში კერძოდ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, რის პირობებსაც მე-18 დაწესებულების კლინიკა არ აკმაყოფილებს“, – ნათქვამია დასკვნაში.

სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფის წევრები არიან: გიორგი გრიგოლია; გრიგოლ ხურციძე; გიორგი კაჭარავა; გიორგი პაპიაშვილი; აიდა გოზალოვა; თენგიზ წულაძე; ნინო ზავრაშვილი; მამუკა მაჩაიძე.

პაატა შევარდნაძე: „სააკაშვილის უფლებები სახელმწიფომ უნდა დაიცვას“

საქართველოს მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შვილი პაატა შევარდნაძე მიხეილ სააკაშვილის პატიმრობაში ყოფნას ეხმაურება.

პაატა შევარდნაძემ „ტვ პირველთან“ განაცხადა, რომ სააკაშვილის, როგორც არჩეული პრეზიდენტის უფლებები დაცული უნდა იყოს.

– ნებისმიერი ადამიანის უფლებას, უპირველეს ყოვლისა, პატიმრის უფლებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ოდესღაც ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი გახლდათ, სახელმწიფო უნდა იცავდეს.

ეს პრინციპი არავის შეუცვლია და ნებისმიერ ქვეყანას ერთნაირად ეხება, – აცხადებს პაატა შევარდნაძე.

ირაკლი ღარიბაშვილის სახლთან აქციაზე ხმაური იყო

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის საცხოვრებელ სახლთან 18 ნოემბერს მიმდინარე აქციაზე ხმაური იყო.

აქციის მონაწილეები მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანას ითხოვდნენ.

სამართალდამცველებმა აქციის მონაწილეები ავტომანქანაში ჩასვეს და ადგილიდან გაიყვანეს.

პოლიციელის განმარტებით, მათ სამართალდამცველს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და სწორედ ეს გახდა ტერიტორიიდან აქციის მონაწილეების გაყვანის მიზეზი.

ძვირდება თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა?

2022 წლის 1 იანვრიდან საზოგადოებრივ ტრანსპორტში აბონემენტების სისტემა ამოქმედდება.

თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა ვიქტორ წილოსანმა განაცხადა, რომ ამ ეტაპისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტარიფის ზრდა არ იგეგმება.

– ერთჯერადი შეძენით შესაძლებლობა გექნებათ, 1-თვიანი, 6-თვიანი და 1-წლიანი აბონემენტით ისარგებლოთ, რაც საშუალებას მოგცემთ, ამ პერიოდში საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ გადაადგილდეთ, – განაცხადა ვიქტორ წილოსანმა.

მისი თქმით, ერთჯერადი ტარიფები კვლავ ძალაში დარჩება და აბონემენტი იმ პირებისათვის არის განკუთვნილი, ვინც საზოგადოებრივი ტრანსპორტით ხშირად სარგებლობს.

„სააკაშვილის კანი სულ თეთრია. იფცქვნება ადამიანი“

ეკა ხერხეულიძის განცხადება

17 ნოემბერს დეპუტატმა ეკა ხერხეულიძემ №18 პენიტენციარული დაწესებულების დატოვების შემდეგ განაცხადა, რომ იგი მიხეილ სააკაშვილის მონახულების დროს ჰიპერტონიული კრიზის შემსწრე გახდა.

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილს, მაღალ წნევებთან ერთად, მეხსიერების სერიოზული პრობლემებიც აქვს.

– მე შევესწარი მის ჰიპერტონიულ კრიზს, რომელსაც დაესწრო ექიმიც. მარტო არ ვყოფილვარ და ეს არ არის მხოლოდ ჩემი ინფორმაცია, ადგილობრივი ექიმი იყო შეშფოთებული. 170/110-ზე დაუფიქსირდა მიხეილ სააკაშვილს წნევა და, რაც მთავარია, ამას ვერ გრძნობს თავად. ვერ გრძნობს, რადგან ჩვეულებრივ ნორმად იქცა ის, რომ ყოველდღე უნდა ჰქონდეს მაღალი წნევა.

მითხრა, ხომ ცოტა ცუდად ვარ და, თუ შესაძლებელია, გავიზომავ წნევასო. ავიდა, გაიზომა და ჰქონდა მაღალი წნევა, რაც მისთვის საგანგაშოა, თავად ექიმებიც შეშფოთდნენ, რადგან კარგად ყოფნის შემთხვევაში 120/80-ზეა. მისცეს ერთი აბი კაპტოპრილი და ასე დასრულდა მისი მკურნალობის პროცესი. ეს არ არის ნორმალური. შეშფოთდა ადმინისტრაცია და ახლა გამოიძახეს ექოსკოპია.

უბრალოდ, ადამიანს ხელი რომ მოჰკიდო და კანზე გადაუსვა, არის სულ თეთრი, „იფცქვნება“ ადამიანი. შემიძლია, ერთი კონკრეტული მაგალითიც გითხრათ. „როდესაც ნევროპათოლოგმა მითხრა ტესტი, მთხოვა სამი სიტყვის დამახსოვრება მკაფიოდ, 5 წუთში შემეკითხა და, მიუხედავად იმისა, რომ თავი ვაიძულე, ეს სამი სიტყვა დამემახსოვრებინა, ვერ შევძელი, ძალიან შემრცხვაო“, – ადამიანი ამბობს. მე არ ვიცი, მეტი სიმპტომი კიდევ, რა შეიძლება იყოს, რომ უშველონ ამ ადამიანს, – განაცხადა ეკა ხერხეულიძემ.

პროკურატურამ სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულების ყოფილი დირექტორი ალექსანდრე მუხაძე პასუხისგებაში მისცა

საქართველოს პროკურატურამ პატიმრის წამების ფაქტზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 დაწესებულების ყოფილი დირექტორი ალექსანდრე მუხაძე (მეტსახელად „ქილერა“) ბრალდებულად პასუხისგებაში მისცა.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წლის მაისში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 დაწესებულებაში ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვის ფაქტზე დაკავებულ პირს, მეგის ქარდავამ და ალექსანდრე მუხაძემ მოსთხოვეს არარსებულ ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის აღიარება, ასევე ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში თითქოსდა მონაწილე სხვა პირებზე ჩვენების მიცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრნენ გაუპატიურებით. ასევე, საქმეში არსებული ჩვენებების თანახმად, აღნიშნულ პირს, ნარკოტიკული ნივთიერება, დაკავების საფუძვლის შესაქმნელად ჩაუდეს.

„სასურველი ჩვენების მიცემაზე უარის მიღების შემდეგ დაკავებული ჩაიყვანეს ციხის „კარანტინში“, სადაც აყურებინეს, თუ როგორ ძალადობდნენ სექსუალურად ერთ-ერთი პატიმრის მიმართ, რის შემდეგაც დაზარალებულს დაემუქრნენ, რომ თუ სასურველ აღიარებით ჩვენებას არ მისცემდა, მასაც გააუპატიურებდნენ. ალექსანდრე მუხაძემ პატიმარს არაერთხელ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შემდეგ, დაზარალებულმა მეგის ქარდავას მითითებით, არარსებულ ტერორისტულ აქტებში მისი მონაწილეობის აღიარებითი ჩვენება დაწერა.

წამების შედეგად მიღებული აღიარებითი ჩვენება ალექსანდრე მუხაძის და მეგის ქარდავასთვის არ აღმოჩნდა საკმარისად ამომწურავი, რის გამოც აღნიშნულმა პირებმა პატიმარი აიძულეს შეეჭამა ის ფურცელი, რომელზეც მისი ჩვენება იყო დაწერილი. სასურველი ჩვენების მისაღებად, იგი შეიყვანეს ერთ-ერთ საკანში, სადაც ნიღბებში გამოწყობილი სხვა პატიმრების გამოყენებით მოუწყვეს სექსუალური ძალადობის ინსცენირება, რომელიც კამერით გადაიღეს.

2011 წლის მაისიდან 2012 წლის თებერვლის თვემდე დაზარალებული არაერთხელ იქნა დაკითხული, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდებოდა მისი დაპირისპირება ე.წ. ტერაქტში თითქოსდა მხილებულ სხვა პირებთან. ერთ-ერთი დაპირისპირების დროს, სასურველი ჩვენების მისაღებად მეგის ქარდავამ პატიმარს თავზე დაადო პისტოლეტი და ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით დახვრეტის იმიტაცია მოახდინა.



ცემის, წამების, სექსუალური ძალადობის ამსახველი კადრების გავრცელების და ფიზიკური შეურაცხყოფის გაგრძელების შიშით, დაზარალებული იძულებული გახდა ხელი მოეწერა მისი მწამებლებისთვის ხელსაყრელი აღიარებითი ჩვენებისთვის.

ალექსანდრე მუხაძის, მეგის ქარდავას და დაწესებულების სხვა თანამშრომლების მხრიდან პატიმარზე განხორციელებული წამების არაერთი ფაქტის გამო, მან თვითმკვლელობა სცადა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულებმა დაზარალებულის წამების შედეგად მისგან მიიღეს ე.წ. ტერაქტში მონაწილეობაზე სასურველი ჩვენება, ასეთი ტერორისტული აქტის არარსებობის გამო, არ დაწყებულა გამოძიება და პატიმრის მიმართ ტერაქტში მონაწილეობაზე სისხლისსამართლებრივი დევნა.

მეგის ქარდავა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების შუამდგომლობის საფუძველზე, დაკავებული იქნა უკრაინის ტერიტორიაზე. დაკავებისას მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოიღეს არაერთი ვიდეოჩანაწერი, რომლებიც გამოთხოვილი იქნა უკრაინის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან. დაზარალებულმა პატიმარმა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2013 წელს, დატოვა სასჯელაღსრულების დაწესებულება.

ვინაიდან ალექსანდრე მუხაძე თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, წამებისათვის ბრალდება მას დაუსწრებლად წარედგინება საქართველოს სსკ-ის 1441-ე მუხლის II ნაწილით.

ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას ცხრიდან თხუთმეტ წლამდე ვადით ითვალისწინებს“, – განაცხადეს პროკურატურაში.

გლდანში ახალგაზრდა კაცი დაჭრეს

გლდანში 17 ნოემბერს, გვიან ღამით, ახალგაზრდა კაცი დაჭრეს.

დაშავებულს ჭრილობა მუცლის არეში ჰქონდა მიყენებული. ის კლინიკაშია გადაყვანილი და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გლდანში მომხდარი დაჭრის ფაქტზე პოლიციამ 1990 წელს დაბადებული ვ.გ. დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით ჭრილობები მიაყენა 2000 წელს დაბადებული გ.მ.– ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველო, კანონისა და წესრიგის გლობალური ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს საუკეთესო ოცეულშია

ამერიკულმა ორგანიზაცია „Gallup“-მა – გლობალური გამოკითხვების ანალიტიკურმა ცენტრმა – 2021 წლის კანონისა და წესრიგის ინდექსი გამოაქვეყნა. აღნიშნული ინდექსის მიხედვით, საქართველომ შეფასების 100-ბალიანი სისტემით 88 ქულა აიღო და გერმანიასთან, შვედეთთან და მალტასთან ერთად, მსოფლიოს საუკეთესო ოცეულში მე-17 ადგილზე გავიდა.

ინდექსი ეფუძნება გლობალურ გამოკითხვას, რომლის მეშვეობითაც შეფასებულია ადამიანების პირადი უსაფრთხოება და მათი საკუთარი გამოცდილება დანაშაულსა და სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართებაში.

რესპონდენტებმა გამოკითხვისას უპასუხეს კითხვებს პოლიციის მიმართ ნდობის, ღამით დაცულობის, ბოლო ერთ წელში გადახდენილი ქურდობის, თავდასხმის ან ძარცვის შემთხვევების შესახებ.

2021 წლის კანონისა და წესრიგის გლობალური ანგარიში წარმოადგენს „Gallup“-ის უახლესი კვლევის შედეგებს, რომელიც 120 000-ზე მეტი სრულწლოვანი მოქალაქის ინტერვიუებს ეფუძნება. გამოკითხვა 115 ქვეყანასა და რეგიონში ჩატარდა. კვლევა ასევე შეიცავს 51 ქვეყანაში

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემებს.

ორგანიზაცია „Gallup“ ერთ-ერთია იმ 30-მდე საერთაშორისოდ აღიარებულ სუბიექტს შორის, რომლებსაც მსოფლიო ბანკის გლობალური მმართველობის ინდიკატორები ეფუძნება. 2021 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული მსოფლიო ბანკის გლობალური მმართველობის ინდიკატორების ანგარიშის ფარგლებში, „Gallup“-მა საქართველო კორუფციისგან თავისუფლების მიხედვით ევროპის თხუთმეტ საუკეთესო ქვეყანაში შეიყვანა, კერძოდ კი, გლობალური გამოკვლევის საფუძველზე – „არის თუ არა გავრცელებული კორუფცია ხელისუფლებაში“ – საქართველო ევროპაში მე-14 ადგილზე გავიდა.

„მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა“

რუსთავში ელექტრიკოსს დენმა დაარტყა

რუსთავში ახალგაზრდა მამაკაცს დენმა დაარტყა.

26 წლის მამაკაცი ადგილზე დაიღუპა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ახალგაზრდა კომპანია „ენერგო პრო ჯორჯიას“ თანამშრომელი იყო, რომელიც XVI მიკრორაიონში არსებულ ქვესადგურში სხვა თანამშრომლებთან ერთად გარკვეულ სამუშაოებს ასრულებდა, როდესაც დენმა დაარტყა.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟი, თუმცა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

კომენტარისთვის „ინფო რუსთავი“ კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დაუკავშირდა, სადაც გაგვიცხადეს, რომ: „საკაბელო ხაზზე მუშაობის დროს სამწუხაროდ გარდაიცვალა რუსთავის მომსახურების ცენტრის ელექტრიკოსი. მომხდარზე გამოძიება დაწყებულია რომელიც გაარკვევს, რა გარემოებაში მოხდა გარდაცვალება. კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს ოჯახს და თანამშრომლებს“.

სარფის საბაჟოზე 5 კგ ოქროს ნაწარმი ამოიღეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან კოორდინაციით გატარებული ღონისძიებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით არადეკლარირებული საქონლის გადმოტანის ფაქტზე, პასუხისგებაში ერთი პირი მისცეს.

როგორც უწყების ინფორმაციაშია ნათქვამი, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, საბაჟო გამშვები პუნქტი სარფის გავლით, საქართველოში შემოიტანა სხვადასხვა სახის საქონელი, რომელშიც, საბაჟო კონტროლის შედეგად, აღმოჩენილ იქნა არადეკლარირებული ძვირფასი ლითონის ნაწარმი. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია 5 კილოგრამზე მეტი ოქროს ნაკეთობები, რომლის საბაჟო ღირებულება 565.000 ლარს აღემატება.

„გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე ვადით“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ხობში 12 წლის ბიჭი 40 წლის მამაკაცმა გააუპატიურა

სამეგრელოში, ხობში, 12 წლის ბიჭი, სავარაუდოდ, 40 წლამდე კაცმა გააუპატიურა. შემთხვევა სოფელ ხეთაში მოხდა.

დანაშაულში ბრალდებული დ.ლ. პოლიციამ ბავშვის გამოკითხვის შემდეგ დააკავა.

ფაქტის შესახებ პოლიციაში ბავშვის მამამ განაცხადა, რომელიც მომხდარს თავად შეესწრო.

არსებული ინფორმაციით, დაზარალებული და დაკავებული ერთმანეთის მეზობლები არიან.

მომხდარ ფაქტზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით არის აღძრული, რაც თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევას გულისხმობს.

12 წლის ბიჭს ექსპერტიზა ჩაუტარდა.

პროკურატურის მოწმეებმა ჩვენება ნიკა გვარამიას სასარგებლოდ მისცეს

– ნიკა გვარამია საუკეთესო მედიამენეჯერია, რომლის მმართველობის პირობებში ტელეკომპანია რუსთავი 2 ყველაზე წარმატებული კომპანია იყო.

ეს არის პროკურატურის ოქრო მოწმეების ჩვენებების მოკლე შინაარსი.

სასამართლო პროცესზე რუსთავი 2-ის თანამშრომლები დემნა ჯაფარიძე და გიორგი ხაბურზანია დაიკითხნენ. მოწმეებმა, რომლებზეც ბრალდების მხარე დიდ იმედებს ამყარებდა, რეალურად ჩვენება ბრალდებულების სასარგებლოდ მისცეს

მოწმეები, რომლებიც ნიკა გვარამიას დირექტორობის პერიოდში დაახლოებული იყვნენ არხის ხელმძღვანელთან, აღიარებენ, რომ მას კომპანიის საზიანო გადაწყვეტილება არასოდეს მიუღია და ზედმეტია საუბარი ფულის გაფლანგვასა და მითვისებაზე.

თბილისში, აღმაშენებელზე, უკანონო კოვიდტესტირებას ატარებდნენ

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გატარებული კონტროლის ღონისძიების შედეგად უკანონოდ გახსნილი კოვიდტესტირების დაწესებულებები გამოვლინდა.

სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, კოვიდტესტირების პუნქტი, აღმაშენებლის გამზირზე, ერთ-ერთ საიუველირო მაღაზიაში იყო განთავსებული. დაწესებულება მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სავალდებულო შეტყობინების გარეშე ფუნქციონირებდა.

რეგულირების სააგენტოს მიერ, დაწესებულების მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა სასამართლოს. მსგავსი შემთხვევები გამოიკვეთა ქალაქ რუსთავსა და ბათუმშიც.

„ძირითადად, აღნიშნული ტიპის დაწესებულებები იღებენ ნაცხს და აგზავნიან ლაბორატორიებში, თუმცა აუცილებელია, რომ მათ სააგენტოში გადმოაგზავნონ შესაბამისი შეტყობინება და აკმაყოფილებდნენ მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტს“, – განაცხადა რეგულირების სააგენტოს ხელმძღვანელმა ზაალ კაპანაძემ.

ილია დარჩიაშვილი: „საქართველომ Trace International-ის კორუფციის რისკისგან თავისუფლების ინდექსში პირველი ადგილი დაიკავა“

– საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა კვლევის იმ კომპონენტში, რომელიც აფასებს მთავრობასთან მიმართებაში კორუფციის დაბალ რისკს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მომავალი პოზიციონირების საქმეში.

ასე გამოეხმაურა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ილია დარჩიაშვილი Trace International-ის კორუფციის რისკისგან თავისუფლების ინდექსს, რომლის მიხედვით საქართველო ევროპის საუკეთესო ოცეულში და მსოფლიოს საუკეთესო 30 ქვეყანას შორის დასახელდა.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის შეფასებით, კვლევა არაერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ეყრდნობა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი ანტიკორუფციულ კანონმდებლობას და მთავრობის გამჭვირვალობას უკავია.

– აღნიშნული კვლევა აფასებს სხვადასხვა ქვეყნების მიერ ანტიკორუფციული მიმართულებით გატარებული რეფორმების ეფექტურობას. კვლევა ეყრდნობა სხვადასხვა კონკრეტულ კომპონენტებს, რაც აფასებს ქვეყნების მიერ მიღებულ შედეგებს. აღსანიშნავია ანტიკორუფციული კანონმდებლობა, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და მთავრობების ღია და ტრანსფარენტული მოქმედება. აღნიშნულ კვლევაში, ერთ-ერთი ქვეკომპონენტის ფარგლებში, საქართველომ დაიკავა პირველი ადგილი, რომელიც აფასებს მთავრობასთან მიმართებაში დაბალი კორუფციის რისკის მაჩვენებელს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მომავალი პოზიციონირების საქმეში, – აღნიშნა ილია დარჩიაშვილმა.

კვლევის თანახმად, საქართველო უსწრებს ევროკავშირის 13 სახელმწიფოს: იტალიას, პოლონეთს, უნგრეთს, სლოვაკეთს, სლოვენიას, ჩეხეთს, ლატვიას, ხორვატიას, საბერძნეთს, რუმინეთს, ბულგარეთს, კვიპროსს, მალტას, ასევე ევროკავშირის არაწევრ განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებს ლიხტენშტეინსა და სან მარინოს.

რეიტინგი ქვეყნებს აფასებს კორუფციის მიხედვით, კერძოდ, კორუფციის შესაძლებლობის, ანტიკორუფციული კანონმდებლობის, მთავრობის გამჭვირვალობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონის მიხედვით. საუკეთესო შეფასება საქართველომ მიიღო ისეთ მთავარ ქვეკომპონენტში, როგორიცაა „მთავრობასთან ურთიერთობაში კორუფციის რისკის დაბალი ხარისხი“, სადაც საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

მეთოდოლოგიის შესაბამისად, თითოეულ ქვეყანას ენიჭება კორუფციის რისკის საერთო ქულა და თითოეული მიმართულება 1-დან 100 ქულამდე ფასდება, სადაც 1 ქულა მიუთითებს კორუფციის დაბალ დონეს/არარსებობას, ხოლო 100 ქულა – კორუფციის მაღალ რისკს.

პოლონეთის საზღვარზე 100 მიგრანტი დააკავეს

პოლონეთის უსაფრთხოების ძალებმა ასამდე მიგრანტი დააკავეს, როდესაც ისინი საზღვრის გარღვევასა და ბელარუსიდან პოლონეთის ტერიტორიაზე უკანონოდ შესვლას ცდილობდნენ.

„პოლონელმა ძალებმა დაახლოებით 100 მიგრანტი დააკავეს“, – აცხადებენ პოლონეთის თავდაცვის სამინისტროში.

მათივე მტკიცებით, მიგრანტების აღნიშნული ჯგუფის მცდელობას, შეეღწიათ პოლონეთის ტერიტორიაზე, ბელარუსულმა ძალებმა შეუწყვეს ხელი.

პოლონეთის საზღვრის დაცვის სამსახურის განცხადებით, ოთხშაბათს მიგრანტების მიერ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის 500-ზე მეტი მცდელობა დაფიქსირდა.

პოლონეთის პრემიერ-მინისტრი მატეუშ მორავეცკი ბელარუსთან კონფლიქტის გამწვავებას არ გამორიცხავს.

– ამჟამად სიტუაცია სტაბილურია, მაგრამ უფრო და უფრო სახიფათო ხდება. ბელარუსი მიგრანტებს იარაღად იყენებს. მათი სამიზნე გერმანია, საფრანგეთი და ნიდერლანდებია, – განაცხადა მან.

პოლონეთის პრემიერი შიშობს, რომ საზღვარზე შექმნილი სიტუაცია, შესაძლოა, ღია სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდოს.

– ბელარუსის ძალები სულ უფრო და უფრო მეტ პროვოკაციას ახორციელებენ. როგორც ჩანს, ალექსანდრე ლუკაშენკო და ვლადიმერ პუტინი მიჰყვებიან სტრატეგიას, რომლის მიზანი გაურკვევლობის დანერგვა და დასავლეთის დესტაბილიზირებაა. ჩვენ არ ვიცით, კიდევ რას გეგმავენ. შესაძლოა, საზღვარზე შექმნილი კრიზისი ემსახურებოდეს ახალი სამხედრო თავდასხმებისგან ყურადღების გადატანას, რომელსაც პუტინი უკრაინაში ამზადებს, – განაცხადა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა.

მატეუშ მორავეცკის თქმით, პოლონელები ნებისმიერი საშუალებით დაიცავენ თავიანთ და ევროპის, ნატოს აღმოსავლეთ საზღვარს.

– თუ დღეს ათასობით მიგრანტის შეკავებას ვერ შევძლებთ, მალე ევროპისკენ მომავალ ასიათასობით, მილიონობით მიგრანტს მივიღებთ, – აღნიშნა მან.

ამასთან დაკავშირებით პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა გერმანიის საიმიგრაციო პოლიტიკა გააკრიტიკა.

– ანგელა მერკელმა საფრთხის ქვეშ დააყენა უამრავი ევროპული სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ხელოვნური მრავალკულტურიანობა შექმნა. ეს ევროპისა და მთელი მსოფლიოსთვის სახიფათო პოლიტიკა იყო, – აღნიშნა მატეუშ მორავეცკიმ.

ჩეხეთი არავაქცინირებული მოქალაქეებისთვის შეზღუდვებს ამკაცრებს

ჩეხეთის მთავრობამ დაამტკიცა გეგმა, რომლის თანახმადაც, ორშაბათიდან რესტორნებსა და სხვადასხვა ღონისძიებაზე მხოლოდ ის პირები დაიშვებიან, რომლებიც კორონავირუსის წინააღმდეგ სრულად არიან ვაქცინირებულები ან ვირუსისგან ბოლო 6 თვის განმავლობაში გამოჯანმრთელდნენ.

ამის შესახებ ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრეი ბაბიშმა განაცხადა.

ჩეხეთში სამშაბათს კორონავირუსით ინფიცირების რეკორდული დღიური მაჩვენებელი, 22.511 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა.

ბოლო მონაცემებით, ჩეხეთში, სადაც დაახლოებით 10.7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, სრულად ვაქცინირებულია მოსახლეობის 58%.

გერმანიაში 24 საათში კოვიდის 65.000 შემთხვევა დაფიქსირდა



გერმანიაში 17 ნოემბერს კორონავირუსის 65.000-ზე მეტი ახალი შემთხვევა გამოვლინდა, რაც რეკორდულად მაღალი დღიური მაჩვენებელია ქვეყნისთვის პანდემიის დაწყების დროიდან.

ქვეყნის ინფექციური დაავადებების სააგენტოს, „რობერტ კოხის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელ ლოთარ ვილერის განცხადებით, ეს რიცხვი რეალურად, შესაძლოა, ორჯერ ან სამჯერ მეტი იყოს.

– ჩვენ საგანგებო მდგომარეობაში ვართ. ვინც უარს ამბობს ამის დანახვაზე, დიდ შეცდომას უშვებს, – განაცხადა ვილერმა.

გერმანიის კანცლერის მოვალეობის შემსრულებელმა ანგელა მერკელმა 17 ნოემბერს განაცხადა, რომ გერმანიაში კორონავირუსთან დაკავშირებული მდგომარეობა დრამატულია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მშობლების მიერ მძევლად აყვანილმა გოგონამ თავიც გაითავისუფლა და სხვა ბავშვებიც

ამერიკის კალიფორნიის შტატში მშობლების მიერ მძევლად აყვანილმა გოგონამ სახლიდან თავის დაღწევა მოახერხა, 911-ზე დარეკა და სხვა ბავშვებიც გადაარჩინა.

2018 წლის 14 იანვარს სამაშველო სამსახურში შევიდა ზარი იმ დროისთვის 17 წლის ჯორდან ტურპინისგან. გოგონამ დისპეტჩერს აცნობა, რომ ის და მისი 12 და-ძმა მშობლების მხრიდან მუდმივი ძალადობის ქვეშ იმყოფებიან: ისინი მათ აბამენ საწოლებზე, ათრევენ თმებით, არ აჭმევენ და პრაქტიკულად ქუჩაში გასვლის საშუალებას არ აძლევენ. გოგონამ მაშინვე ვერ შეძლო ოპერატორისთვის მისამართის თქმა, ვიანაიდან ადგილმდებარეობაში ცუდად ერკვეოდა.

დისპეტჩერმა გოგონას ადგილსამყოფელი ჯპს-ით განსაზღვრა. მალე მათთან სახლში მივიდნენ პოლიციელები და მშობლები დააპატიმრეს. ტურპინის ქმედებამ წერტილი დაუსვა მისი და მისი დედმამიშვილების ტანჯვა-წამებას. მისი წყალობით ბავშვები სრულფასოვან ცხოვრებას დაუბრუნდნენ.

გოგონამ გაიხსენა, რომ იმ დღეს, როდესაც სახლიდან ქუჩაში გამოიჭრა, ისიც კი არ იცოდა, თუ რა განსხვავება იყო ქუჩის საგზაო ნაწილსა და ტროტუარს შორის.

2019 წელს დევიდ და ლუიზა ტურპინებს ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობისთვის 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. წყვილი ბავშვებს არ აძლევდა სკოლაში სიარულის უფლებას, პროფესიონალური სამედიცინო დახმარების მიღებას. ბავშვები ხშირად შიმშილობდნენ და ვერ ბანაობდნენ.

მამაკაცი ხუთი წელი ერთსა და იმავე რიცხვებს იყენებდა და ბოლოს ჯეკპოტი მოხსნა

ამერიკის მისურის შტატის ქალაქ მექსიკოს მცხოვრები მამაკაცი ხუთი წლის განმავლობაში ლატარიის ბილეთებში ერთსა და იმავე რიცხვებს წერდა, ბოლოს კი ჯეკპოტი მოხსნა და გამდიდრდა.



მამაკაცის თქმით, მან ბილეთი მაღაზიაში შეიძინა და მასში ტრადიციულად რიცხვების იგივე კომბინაცია ჩაწერა, რომელსაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იყენებდა.

გათამაშების შემდეგ მან შედეგები მობილური დანართის გამოყენებით შეამოწმა და ამოსული რიცხვები ნაცნობად მოეჩვენა. საბოლოოდ გაარკვა, რომ მისმა მოგებამ 98 ათასი დოლარი შეადგინა. ამერიკელი მოგებული თანხით კრედიტების გასტუმრებას გეგმავს.

სპორტი

საქართველო ფიჯისთან ბალანსის გამოკეთებას შეეცდება

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 20 ნოემბერს ესპანეთში, მადრიდიდან 25 კილომეტრით დაშორებულ არანხუესში, „ესტადიო ელ დელეიტეზე“ ფიჯის ერკინება.

ეს ამ გუნდების მეექვსე მატჩი იქნება. პირველი შეხვედრა 2012 წელს გაიმართა. ეს არის ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევა, როდესაც „მფრინავი ფიჯელები“ კავკასიაში გვეწვივნენ და დაძაბულ ბრძოლაში 24:19 იმარჯვეს.

ამ გუნდებს შორის დაპირისპირებამ დამატებითი მუხტი 2016 წლიდან შეიძინა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ტიერ 2-ის ქვეყნებიდან ელიტურ რაგბისთან ყველაზე ახლოს სწორედ საქართველო და ფიჯი არიან. 5 წლის წინ ბორჯღალოსნები წყნარი ოკეანის კუნძულებზე პირველად იმყოფებოდნენ ტურნეზე და შინ დაუმარცხებლები დაბრუნდნენ (2 მოგება და 1 ფრე). მაშინ ჩვენმა გუნდმა ფიჯი პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად, 14:3 დაამარცხა.

2018 წლიდან ეს გუნდები ერთმანეთში უკვე ყოველწლიურად თამაშობენ. ისე მოხდა, რომ ბოლო 3 დაპირისპირებიდან პირველი სუვაში, მომდევნო 2 კი,ნეიტრალურ მოედანზე გაიმართა და კოვიდ-ანდემიის გამო ფიჯის საქართველოში ჩამოყვანა წელსაც ვერ მოხერხდა.

ფიჯელებმა 3 წლის წინ სუვაში 37:15 მოიგეს, 2019 წლის მსოფლიო თასზე, იაპონიაში 45:10, ხოლო შარშანდელი „შემოდგომის ერთა თასზე“ ედინბურგში (შოტლანდია) – 38:24.

განვლილ 5 შეხვედრაში „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქეს 8 ლელო გაუტანეს და ჯამში 82 ქულა მოიხვეჭეს; მიიღეს 21 ლელო და 147 ქულა.

მიუხედავად არცთუ სახარბიელო სტატისტიკისა, „ბორჯღალოსანთა“ თავკაცი ლევან მაისაშვილი ამბობს, რომ მეტოქის სუსტი წერტილები იციან და მათთან ბრძოლა შესაძლებელია.

ლევან მაისაშვილი:

– ვიცით ფიჯის ძლიერი და სუსტი მხარეები და, საფრანგეთისგან განსხვავებით, მას საკმარისად აქვს სუსტი წერტილები, რათა პრობლემები შევუქმნათ. მათ არ უნდა მივცეთ თამაშის მართვის შესაძლებლობა და ამ შემთხვევაში შანსი აუცილებლად გვექნება.

სამაგიეროდ, გუნდს მოსამზადებლად ერთი კვირით მეტი ჰქონდა და 20 ნოემბრის შეხვედრისთვის მზადება საფრანგეთში განაგრძო, ესპანეთში კი გუშინ გაემგზავრა. საბედნიეროდ, არ გვყავს ტრავმირებულები!

ფიჯიმ შემოდგომა ესპანეთში დაიწყო და ესპანეთში ასრულებს. 6 ნოემბერს მადრიდში ესპანელებს დაუპირისპირდა და ტაიმი 12:13 დათმო, მაგრამ მე-2 ტაიმში 5 უპასუხო ლელო გაიტანა და საბოლოოდ 43:13 იმარჯვა.

14 ნოემბერს ფიჯი კარდიფში, „მილენიუმზე“ უელსს ეწვია და, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის უმეტესი ნაწილი – 14, ხოლო 20 წუთი 13 კაცის ამარა ითამაშა, მასპინძლებმა მხოლოდ დასკვნით მეოთხედში გატეხეს, 4 ლელო გაიტანეს და 38:23 მოიგეს.

33 წლის ვეტერანი „ბორჯღალოსანი“ ლაშა ხმალაძე 20 ნოემბერს ფიჯის წინააღმდეგ მეხუთედ ითამაშებს. მან კუნძულელების წინააღმდეგ მხოლოდ ერთი, შარშანდელი შეხვედრა გამოტოვა და საქართველოს ნაკრების მორაგბეებიდან მომავალ მეტოქეს ყველაზე კარგად იცნობს.

მომავალი თამაშის წინ „მსოფლიო რაგბი“ ხმალაძის გამოცდილებით დაინტერესდა და მასთან ინტერვიუ ჩაწერა.

ლაშა ხმალაძე:

– ჩემთვის ეს დასამახსოვრებელი ტურნე იყო. საქართველო პირველად თამაშობდა კუნძულებზე. ეს იყო ღია, გახსნილი თამაში, რომელშიც ვაჩვენეთ, რა შეგვიძლია. ამ დაუმარცხებელმა ტურნემ დიდი თავდაჯერებულობა შეგვმატა.

მას შემდეგ საქართველოს ფიჯისთან აღარ მოუგია. კუნძულელებმა გამარჯვება ჯერ – 2019 წლის მსოფლიო თასზე, მერე კი 2020 წლის „შემოდგომის ერთა თასზე“ მოიპოვეს.

– 2019 წლის მსოფლიო თასზე ფიჯის ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდა. თავიდან თამაში თანაბარი იყო, მაგრამ რამდენიმე არასწორი გადაწყვეტილება მივიღეთ და მეტოქემ გაგვტეხა. ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც ვგეგმავდით და შედეგიც შესაბამისი დადგა.

უკანასკნელ შეხვედრაში, რომელიც „მარიფილდზე“ გაიმართა, „ბორჯღალოსნებმა“ 3 ლელო დებიუტშივე მიიღეს, მაგრამ მებრძოლი სული გამოავლინეს და სანახაობრივ მატჩში 3 საპასუხო ლელო გაიტანეს, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი აღარ აღმოჩნდა.

2023 წლის მსოფლიო თასის ევროპის შესარჩევ ჯგუფს საქართველო ერთპიროვნულად ლიდერობს და, დიდი ალბათობით, საფრანგეთის საგზურს ევროპა 1-ის სახელით მოიპოვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო თასზე „გ“ ჯგუფში ფიჯის, უელსის, ავსტრალიისა და შესარჩევი ეტაპის ფლეი ოფის გამარჯვებული გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს.

– დღესდღეობით ევროპის შესარჩევი ეტაპის წამყვანი გუნდი ვართ, მაგრამ რაგბი ევროპის კიდევ ერთი ჩემპიონატი უნდა მოვიგოთ,

გაგრძელება მე-7 გვერდზე

მეხანძრეებმა მტრედის გადასარჩენად ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა გადაკეტეს

უელსის დედაქალაქ კარდიფში მეხანძრეებმა ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა ბადეში გაბმული მტრედის გადასარჩენად გადაკეტეს.

სამხრეთ უელსის სახანძრო-სამაშველო სამსახურმა მიიღო შეტყობინება, რომ ბანკის შენობის სახურავზე ბადეში მტრედი იყო გაჭედილი, ხოლო თავად ბანკი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ ქუჩაზე მდებარეობდა. გამოძახებაზე მეხანძრეები ცხოველებთან მუშაობის ექსპერტთან ერთად გავიდნენ. მითითებულ ადგილზე მისვლისთანავე მეხანძრეებმა მოძრაობა გადაკეტეს და სამაშველო ოპერაცია დაიწყეს.

სამაშველო ოპერაციამ ორასამდე გამვლელის ყურადღება მიიპყრო, რომლებიც, თავის მხრივ, ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მაშველების მოქმედებას და მტრედს თანაუგრძნობდნენ. როდესაც ფრინველი გადაარჩინეს, სეირის მაყურებლებმა მხიარული ყიჟინა დასცეს. მტრედი გათავისუფლების შემდეგ საგულდაგულოდ შეამოწმეს, დაზიანებები ვერ აღმოუჩინეს და გაუშვეს.

ძაღლით მოსეირნე მამაკაცმა მეზობელი ალმოდებულ სახლში დაღუპვას გადაარჩინა

ინგლისის ქალაქ ლივერპულში მამაკაცმა, რომელიც ძაღლს ასეირნებდა, შემთხვევით მეზობლის სამზარეულოში აფეთქება შენიშნა და ის ხანძარში დაღუპვას გადაარჩინა.

შაბათ საღამოს პოლ ფულარდი სეირნობიდან ბრუნდებოდა, რა დროსაც მეზობლის სახლიდან გამომდინარე სიგნალიზაციის ხმა გაიგონა. მამაკაცმა გადაწყვიტა დარწმუნებულიყო, ყველაფერი წესრიგში იყო თუ არა და ამისთვის მეზობლის სახლში ფანჯრიდან შეიხედა, იქ კი დიდი ცეცხლის ალი შენიშნა.

ფულარდმა მაშინვე სახანძრო სამსახურში დარეკა და მომხდარის თაობაზე განაცხადა. სანამ მეხანძრეები შემთხვევის ადგილზე მიდიოდნენ, მამაკაცმა სახლის კარზე დააკაკუნა იმის გასაგებად, სახლში იყო თუ არა ვინმე. ამაზე პასუხი არ მიუღია, თუმცა ხმაურზე გარეთ გამოსულმა სხვა მეზობლებმა განაცხადეს, რომ სახლში ქალი უნდა ყოფილიყო, რომელსაც, სავარაუდოდ, ეძინა. მამაკაცმა სახლის კარი ფეხით შეამტვრია, მაგრამ ძლიერი დაკვამლიანების გამო შიგნით შესვლა ვერ მოახერხა. სწორედ ამ დროს მოვიდნენ მაშველებიც.

მეხანძრეებმა სწრაფად მოახერხეს ცეცხლის ჩაქრობა და ქალის გარეთ გამოყვანა. დიასახლისმა საკმაოდ გადაყლაპა ბოლი, თუმცა მისი გადარჩენა მოხერხდა.

– პოლიციასა და მეხანძრეებს კიდევ ერთიორი წუთიც რომ დაეგვიანებინათ, ქალი ცეცხლში ცოცხლად დაიწვებოდა, – განაცხადა ფულარდმა.

მარქსი, ლენინი და ხო ში მინი ენგელსს ინდოეთში ქორწილში ესტუმრნენ

მარქსმა, ლენინმა და ხო ში მინმა დასვენების დღეებში ინდოეთის კერალას შტატში მოიყარეს თავი, რათა ენგელსის ქორწილს დასწრებოდნენ.

სიძე და პატარძალი ადგილობრივი კომუნისტური პარტიის წევრები არიან. ამასთან ენგელსი და ლენინი ძმები, ხოლო მარქსი და ხო ში მინი ადგილობრივი პარტიული აქტივისტის შვილები. პატარძლის სახელი უცნობი დარჩა.

კერალაში, სადაც კომუნისტური პარტია ბოლო ექვსი ათეული წლის მანძილზე მართავდა შტატს, კვლავაც პოპულარულებია ისეთი რევოლუციური სახელები, როგორებიცაა სტალინი და ტროცკი. ასევე, შტატში შესაძლოა შეხვდეთ ადამიანს, სახელად პრავდას, კომუნისტური გაზეთის პატივსაცემად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხვიჩა კვარაცხელია ათეულში მოხვდა

სპორტულმა ვეგბვერდმა ევროსპორტმა იმ ევროპელი ფეხბურთელების ათეული შეადგინა, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდნენ. საუბარია 10 ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელზე, რომელთა ფასი ტრანსფერმარკეტის მონაცემებით არის აღებული.

ათეულშია საქართველოს ნაკრების ლიდერი ხვიჩა კვარაცხელია, რომლის ფასი 18 მილიონი ევროა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ნაკრების ნახევარმცველ მირალემ პიანიჩთან ერთად მე-10-11 ადგილებს იყოფს.

ევროპელებიდან ყველაზე ძვირადღირებული ნორვეგიელი ერლინგ ჰაალანდია (150 მილიონი), რომელსაც კვალში იან ობლაკი (სლოვენია, 70 მილიონი) და მილან შკრინიარი (სლოვაკეთი, 60 მილიონი) უდგანან.

აი, რას წერს ვებგვერდი:

– კვარაცხელია რუსეთის პრემიერლიგაში ძველებურად ვეღარ გამოიყურება, მაგრამ ევროპის მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელად რჩება. მისი ბოლო შთამბეჭდავი ასპარეზობა სულ ახლახან ვიხილეთ: საქართველოს ნაკრებმა მოულოდნელად შვედეთს სძლია, კვარაცხელიამ კი დუბლის შესრულება მოახერხა.

მუნდიალს მიღმა დარჩენილი 10 ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი:

1. ერლინგ ჰაალანდი (ნორვეგია, 150 მილიონი); 2. იან ობლაკი (სლოვენია, 70); 3. მილან შკრინიარი (სლოვაკეთი, 60); 4. მარტინ ედეგორი (ნორვეგია, 40); 5. სტეფან სავიჩი (ჩერნოგორია, 25); 6. დომინიკ სობოსლაი (უნგრეთი, 25); 7-8. ბერატ ჯიმშიტი (აღბანეთი, 22), მარაშ კუმბულა (აღბანეთი, 22); 9. მანორ სოლომონი (ისრაელი, 20); 10-11. ხვიჩა კვარაცხელია (საქართველო, 18), მირალემ პიანიჩი (ბოსნია, 18).

ხვიჩამ მსოფლიოს პირველობის საკვალიფიკაციო ჯგუფურ ეტაპზე 6 მატჩში 4 გოლი გაიტანა, გახდა ბ ჯგუფის ბომბარდირი და სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

გარდა ამისა, მსოფლიოს საკვალიფიკაციო ეტაპის წარმატებული დრიბლიორები ხვიჩა კვარაცხელია და რაჰიმ სტერლინგი (სიტი, ინგლისი) გახდნენ.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ხვიჩა მატჩში საშუალოდ 4 წარმატებულ დრიბლინგს ახერხებდა. დაახლოებით ასეთივე სტატისტიკა აქვს სტერლინგსაც. მე-3 ადგილს მანორ სოლომონი (ისრაელი, შახტარი) და მატეო კოვაჩიჩი (ხორვატია, ჩელსი) იკავებენ.

საქართველო ფიჯისთან ბალანსის გამოკეთებას შეეცდება

დასაწყისი მე-6 გვერდზე

რათა მსოფლიო თასზე ვითამაშოთ. ვიმედოვნებ, ასეც იქნება და მოვხვდებით ჯგუფში, სადაც თამაში ძალიან გვინდა. 2023 წლის მსოფლიო თასს უფრო გამოცდილი გუნდით ვხვდებით და ვეცდებით, ვაჩვენოთ ჩვენი ძალა როგორც გუნდურად, ასევე – ინდივიდუალურად.

ხმალაძის საუკეთესო წლები უკვე ჩავლილია, მაგრამ ფორმაშია და არ გამორიცხავს, რომ „ბორჯღალოსან“ ცენტურიონებს – დავით კაჭარავას, მერაბ კვირიკაშვილსა და გიორგი ჩხაიძეს შეუერთდეს.

– მიზანსწრაფულობა, პროფესიონალიზმი, სტაბილურობა, შრომისმოყვარეობა, ჯანმრთელი ცხოვრების წესი – ამ ფაქტორებს ასახელებს ხმალაძე, რაც მას მაღალ დონეზე დარჩენის შესაძლებლობას აძლევს.

მის ანგარიშზე 87 კეპია და არასდროს უყვარს საკუთარ მიღწევებზე საუბარი, თუმცა ნაკრებში კიდევ რამდენიმე წელი თამაში სურს, რადგან ეს მეტ გამოცდილებასა და მოგონებებს ნიშნავს.

რა მოგონებებს დაუტოვებს ხმალაძეს მომავალი შეხვედრა, შაბათს გამოჩნდება, თუმცა გამარჯვებისკენ სწრაფვა ერთადერთია, რისკენაც ქართველი ვეტერანი მილტვის.

ამასობაში „ბორჯღალოსნების“ სამწვრთნელო შტაბმა ფიჯისთან გასამართი შეხვედრისთვის შემადგენლობა დაასახელა.

გასულ კვირას საფრანგეთთან ჯახის შემდეგ „ბორჯღალოსნების“ სასტარტო შემადგენლობაში ერთი ცვლილებაა – მარქაფიდან ძირითადში დაწინაურდა მარცხენა ბურჯი გურამ გოგიჩაშვილი, ბექა გიგაშვილმა მარჯვენა ბურჯად გადაინაცვლა, კვაჭის პოზიციაზე კი კვლავ შალვა მამუკაშვილს ვიხილავთ.

უცვლელი დარჩა მეორე და მესამე ხაზი: გრიგორ ქერდიყოშვილი კოტე მიქაუტაძეს შეუწყვილდება, მათ კი ზურგს ბექა საღინაძე, გიორგი ცუცქირიძე და ბექა გორგაძე გაუმაგრებენ.

ასევე უცვლელი დარჩა ღერძი და ხაზი: 9-10 ნომრებზე

გამოცდილ წყვილს ვიხილავთ – ვასილ ლობჟანიძე და თედო ა?ჟანდაძე, ცენტრში მერაბ შარიქაძე და გიორგი კვესელაძე შეწყვილდებიან, ფრთებზე აკა ტაბუცაძე და სანდრო თოდუა დადგებიან, ფულბეკი კი დავით ნინიაშვილია.

წინა მატჩის შემდეგ 2 ახალი სახეა მარქაფაში. ტრავმის მოშუშების შემდეგ განაცხადში დაბრუნდნენ ბურჯი მიხეილ ნარიაშვილი და მეორეხაზელი ლაშა ჯაიანი.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ფიჯისთან მატჩში:

ხაზი: 15. დავით ნინიაშვილი, 14. აკაკი ტაბუცაძე, 13. გიორგი კვესელაძე, 12. მერაბ შარიქაძე, 11. სანდრო თოდუა, 10. თედო აბჟანდაძე, 9. ვასილ ლობჟანიძე;

შერკინება: 1. გურამ გოგიჩაშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. ბექა გიგაშვილი, 4. გრიგორ ქერდიყოშვილი, 5. კოტე მიქაუტაძე, 6. ბექა საღინაძე, 7. გიორგი ცუცქირიძე, 8. ბექა გორგაძე;

მარქაფა:16. გიორგი ჭყოიძე, 17. მიხეილ ნარიაშვილი, 18. ლუკა ჯაფარიძე, 19. ლაშა ჯაიანი, 20. თორნიკე ჯალაღონია, 21. მიხეილ ალანია, 22. ლაშა ხმალაძე, 23. დემურ თაფლაძე.

ფუტსალის ნაკრების მოგება და ფრე რუმინეთთან

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ფარგლებში რუმინეთის ეროვნულ გუნდთან თბილისის ოლიმპიურ სასახლეში 2 მატჩი გამართა.

პირველი შეხვედრა ავთანდილ ასათიანის გუნდმა 4:1 მოიგო. ჩვენი ნაკრები დიდ უპირატესობას ფლობდა და პირველი ტაიმი 3:0 მოიგო. დუბლი შეასრულა ვახტანგ კეკელიამ, მის გოლებს შორის კი თავი ალექსანდრე თოდუამაც გამოიჩინა.

მე-2 ტაიმში პეტრი ბრანკომ კიდევ უფრო დააწინაურა საქართველო, რასაც მხოლოდ პაულუ ფერეირას პრესტიჟის გოლი მოჰყვა – 4:1.

მე-2 მატჩში ჩვენი გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა, რამაც მატჩის მსვლელობა რადიკალურად შეცვალა. თამაში სტუმართა უპირატესობით დაიწყო და შესვენებამდე რუმინეთი 3-ბურთიანი უპირატესობით იგებდა.

მეორე ტაიმში ბრანკომ (2), თოდუამ და თალესმა საქართველო წინ გაიყვანეს, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 21 წამით ადრე ოლივეირამ გაგვითანაბრა.

შეგახსენებთ, რომ 2022 წლის 19 იანვრიდან 6 თებერვლის ჩათვლით ნიდერლანდებში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება და ჩვენი ნაკრები ევროპირველობის ფინალურ ეტაპზე პირველად ითამაშებს. ავთანდილ ასათიანის გუნდი დ ჯგუფში ესპანეთის, აზერბაიჯანისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ნაკრებებს დაუპირისპირდება.

ავთანდილ ასათიანი:

– ევროპის ჩემპიონატამდე ამხანაგურ მატჩებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან უნდა დაგვანახოს ის მაინც, რაც ჯერ კიდევ გვაკლია. რაც მეორე მატჩის პირველი ტაიმი ვაჩვენეთ, არ შეიძლება. ამაში, შესაძლოა, ჩემი წვლილი იყო, რადგან მე ვერ შევძელი ფეხბურთელების მოტივირება პირველი მოგების შემდეგ. შესვენებაზე ბიჭებს ავუხსენი, რომ ამ თამაშის მობრუნება კარგია ფსიქოლოგიურად, რომ ასეთი ჩამორჩენის აღმოფხვრა შეიძლება, რადგან, არ არის გამორიცხული, მსგავსი ფაქტის წინაშე ევროპის ჩემპიონატზეც დავდგეთ და გვქონდეს იმის რწმენა, რომ ყველა თამაშის შემოტრიალება შეიძლება. მთლიანობაში, მხოლოდ ეს ერთი ტაიმი გვქონდა ჩავარდნა და პოზიტივის დანახვაც შეიძლება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

პაატა გურასპაული: „უკრაინასთან და ესპანეთთან მოსაგებად გავალთ“

ნოემბერში საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს ორი მნიშვნელოვანი მატჩი ელის: 26-ში უკრაინას დაუხვდება, ხოლო 29-ში სტუმრად ესპანეთს ეთამაშება. ორივე მატჩი მსოფლიო ჩემპიონატის ეგიდითაა და პლანეტის საუკეთესო გუნდებს შორის მოსახვედრად შესარჩევი ეტაპისა. ჯგუფში კიდევ ერთი გუნდი ჩრდილოეთ მაკედონიაა, 3 საუკეთესო კი მომდევნო ეტაპზე გადაინაცვლებს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა მომავალ მატჩებთან დაკავშირებით ისაუბრა.

პაატა გურასპაული:

– ტრავმირებულია გიორგი ცინცაძე, მაგრამ, საბედნიეროდ, არ აღმოჩნდა ისეთი მძიმე, როგორც თავდაპირველად ვვარაუდობდით. გიორგი რამდენიმე თვეში დაიწყებს ვარჯიშს და, ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის და, შესაძლოა, უფრო ადრეც, მწყობრში იქნება. გვაქვს კიდევ ერთი დანაკლისი დუდა სანაძის სახით, რომელმაც სერბეთში კოვიდი გადაიტანა, გამოკვლევების შემდეგ კი გულის არითმია გამოუვლინდა. დუდას ექიმებმა გარკვეული პერიოდი დასვენება ურჩიეს. წესით, აქტიური კარიერის განახლება მალევე უნდა მოახერხოს. აშშ-ში მოთამაშე კალათბურთელების სეზონის განმავლობაში ჩამოსვლა კი შეუძლებელია. საუბარია გოგა ბითაძე და სანდრო მამუკელაშვილზე. მათ მხოლოდ მე-3 საკვალიფიკაციო ფანჯრის დროს ვეღლით – 1 და 4 ივლისს.

ნაკრებში სათამაშოდ ჩამოვა ესპანეთში მოთამაშე ყველა ქართველი კალათბურთელი, მათ შორის, თად მაკფადენი, კონერ ფრენკამპი კი, მოგეხსენებათ, ევროლიგაში მოთამაშე სანკტ-პეტერბურგის ზენიტში ირიცხება და მისი გამოძახება შეუძლებელი იყო.

ნაკრებში აუცილებლად იქნება თორნიკე შენგელია, რომელმაც ეს საკითხი მოსკოვის ცსკასთან კონტრაქტის გაფორმების დროს შეათანხმა, თუმცა საკმაოდ რთული გზა ექნება გასავლელი. 25 ნოემბერს ცსკა ევროლიგის ეგიდით მიუნხენის ბაიერნს უმასპინძლებს, 16 საათში კი უკვე საქართველოს ნაკრების თამაში დაიწყება. თორნიკემ ადგილზე მოაგვარა ყველა საკითხი, ჩვენც ყველაფერი გავაკეთეთ – თბილისში ჩარტერული რეისით ჩამოვა და შენგელია ჩვეული თავდადებით დაუხვდება მეტოქეებს. ჩვენ როგორც უკრაინასთან, ასევე ესპანეთთან მხოლოდ მოსაგებად გავალთ.

ეროვნული გუნდი მზადებას 20 ნოემბერს დაიწყებს, 22-ში კი მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი ჩამოვა და უკვე სრული შემადგენლობით ვიქნებით. ერთადერთი გამონაკლისი მწვრთნელის ასისტენტი მანუჩარ მარკოიშვილია, რომელმაც ფრანგულ მონაკოში დაიწყო მუშაობა და კოვიდრეგულაციების გამო მისი ჩამოსვლა ვერ ხერხდება. რაც შეეხება უკრაინასთან მატჩზე მაყურებლების დასწრებას, ამჟამად მიღწეული გვაქვს შეთანხმება, რომ თბილისის სპორტის სასახლეში მაყურებელთა მესამედის შეშვება მოხდება, ეს კი დაახლოებით 2.000-2.500 ადამიანია. აღნიშნულის თაობაზე დამატებით ინფორმაციას გავავრცელებთ, თუ რა რეგულაციების დაცვა იქნება აუცილებელი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯროსვოხდი ბ

შვეულად: 1. ქვის, ღორღის დამაქუცმაცებელი მანქანა; 2. კუთხე საქართველოში; 3. კათოლიკური ეკლესიის ცენტრი; 4. ტანსაცმლის, თეთრეულის კარადა; 8. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 11. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 12. უალკოჰოლო, მატონიზირებელი სასმელი; 14. მრავალწლოვანი სამკურნალო მცენარე; 16. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 17. გემის ხელსაწყოების ერთობლიობა; 19. მტკიცე ლითონი, რკინისა და ნახშირბადის ნაერთი; 21. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი.

თარაზულად: 5. ზღვის დიდი ათფეხა, ჯავშნიანი კიბორჩხალა; 6. სახელმწიფო ევროპაში; 7. ნაოსნობისთვის გამოსადეგი წყლის სივრცე; 10. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 15. გულში ნადები ბოღმა, სევდა; 18. უარყოფითად დამუხტული ელექტროდი; 20. პატარა ტანის მაიმუნი; 22. მონასტრებისთვის სურსათ-სანოვაგის შეგროვება ძველად; 23. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 24. საზღვაო ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯროსვორდების პასუხები:

ჯროსვორდი ა

შვეულად: 1. ნოველა; 2. კატაი; 3. პრიზმა; 4. უჯარმა; 6. ასფალტი; 9. საარი; 11. ბიშკეკი; 15. ანტრაციტი; 16. ხაიამი; 17. მუჰამედი; 19. ინგლისი; 21. ბობსლეი; 22. შერიფი.

თარაზულად: 5. ფონიჭალა; 7. სუარესი; 8. საუნჯე; 10. ვაქცინა; 12. მელუა; 13. რკინა; 14. ბერნადოტი; 18. ტოკაი; 20. ფატუმი; 22. ლეგატი; 24. ბეკი; 25. სამუმი; 26. ფეტა; 27. ნებიერი.

ჯროსვორდი ბ

შვეულად: 1. პოლისი; 2. ტავრიდა; 3. ბახთიარი; 4. პროგრესი; 8. კეტაშვილი; 9. ტაბაწყური; 11. კრახუნა; 12. აბიო; 14. ელია; 16. ჩხოროწყუ; 17. ზაკოპანე; 19. არენდა; 21. ცურვა.

თარაზულად: 5. ლაშარელა; 6. ავადჰარა; 7. ექსპანსია; 10. ჰამერი; 13. რებუსი; 15. მისხალი; 18. ჩხეიძე; 20. ბაროკო; 22. მზეჭაბუკი; 23. ჭყონდიდი; 24. ავტობანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1303

ევრო — 3.5485

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2234

100 რუსული რუბლი — 4.2973

ამინდის პროგნოზი 19 ნოემბრისათვის

გარეթ ბეილმა ტრავმა მიიღო

მადრიდის რეალისა და უელსის ნაკრების ვინგერმა გარეթ ბეილმა ნაკრების ერთ-ერთი მატჩის დროს ტრავმა მიიღო და დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში იუქმებს. აღსანიშნავია, რომ ბეილი არცთუ ხშირად ხვდება რეალის ძირითად შემადგენლობაში და, შესაძლოა, მისი არყოფნა არცთუ დიდი დანაკლისი იყოს გუნდისთვის.

ბეილმა, შესაძლოა, ეს პერიოდი უელსში გაატაროს და იქ იმკურნალოს.

სოლსკიაერი, შესაძლოა, მანჩესტერიდან არ გაუშვან

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი ოლე გუნარ სოლსკიაერი, შესაძლოა, გუნდში დარჩეს, რადგან ხელმძღვანელობა მას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაათავისუფლებს, თუ მანჩესტერი პირველ ოთხეულში ვერ მოხვდება და ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მინიმუმ სეზონის ბოლომდე სოლსკიაერი მანჩესტერ იუნაიტედში იმუშავებს.

კლოპი: „შეცდომები აღარ უნდა დავუშვათ“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ლივერპულმა საკმაოდ ბევრი ქულა დაკარგა და, თუ ჩემპიონობა სურს, მაშინ მეტი უნდა იშრომოს და შეცდომები აღარ გაიმეოროს:

– მინდა, ჩემმა ფეხბურთელმა იცოდნენ, რომ ყველაფერი მხოლოდ მათზეა დამოკიდებული და, თუ სტაბილურები ვიქნებით, მაშინ წინ ვერაფერი დაგვიდგება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ველური ბუნების ყველაზე სასაცილო ფოტოსურათი დასახელდა

ახლახან ცნობილი გახდა კონკურს Comedy Wildlife Photography Awards-2021-ის გამარჯვებული.

ველური ბუნების 2021 წლის ყველაზე თავშესაქცევ ფოტოდ მიიჩნიეს სურათი სახელწოდებით „ო!“, რომელზეც ასახულია მავთულზე მჯდომი მაიმუნი. აღნიშნული კადრი კენ ჯენსენმა ჩინეთში ოჯახთან ერთად 2026 წელს, დასვენების დროს გადაიღო.

ფოტოგრაფის თქმით, სინამდვილეში მაიმუნი აგრესიულობით გამოირჩეოდა, თუმცა წარმატებულმა მომენტმა ის შედევრად აქცია.

– ყურადღება, რომელიც ჩემმა ნამუშევარმა მიიპყრო ბოლო თვეებში, დაუჯერებელი იყო. უმშვენიერესი შეგრძნებაა, როდესაც ხედავ, რომ შენი ნამუშევარი ადამიანებს კარგ ხასიათზე აყენებს და საკუთარი წვლილი შეაქვს ბუნების დაცვისა და შენარჩუნების საქმეში, – განაცხადა ჯენსენმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

19 ნოემბრისათვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ კოლექტიურ მუშაობას. საღამოს გაგიმართლებთ ოჯახურ ურთიერთობებში. **კურო** – გარისკვა რეკომენდებული არ არის. ცდუნებას ნუ აჰყვებით. მეგობრებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** – სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **კირჩხიბი** – ნუ იზარმაცებთ. ხანდახან შეგიძლიათ, თავს დასვენების უფლება მისცეთ, მაგრამ დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ახალ ნაცნობობას ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ამბიციურობა, აგრესიულობა სიკეთეს არ მოგიტანთ. კარიერას გაუფრთხილდით. **სასწორი** – ენერგია საგრძნობლად გემატებათ. ახლა მთავარია, დრო სწორად გაანაწილოთ. **ღრიანკალი** – მაცდური დღეა. იფრთხილეთ, პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – კომერციულ სფეროში, ნურც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მერწყული** – ახალი საქმე თამამად დაგეგმეთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. **თევზები** – შესანიშნავი პერიოდია პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. ჩაიტარეთ წყლის პროცედურები.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ოთხმოც წელს გადაცილებული მამაკაცი ექიმთან გამოკვლევას გადის და ეუბნება:

– იცით, მომავალ კვირას ვქორწინდები.

– ურიგო არ არის და პატარძალი რამდენი წლისაა?

– 18-ის.

– მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ლოგინში გადამეტებული აქტიურობა შეიძლება ცუდი შედეგით დასრულდეს.

– არა უშავს ექიმო. თუ რამე დაემართა, სხვას შევირთავ...

●●●

სახლში დაგვიანებით დაბრუნებულ მამა-შვილს ოჯახის დიასახლისი ეკითხება:

– სად იყავით აქამდე?

– სადაც ქალები მამას უფუღოდ არ აძლევდნენ, – უპასუხა შვილმა.

– გეფიცები, მაღაზიებში ვიყავით, – სასწრაფოდ უპასუხა ქმარმა.

●●●

მასწავლებელი მშობელს ეუბნება:

– იცით, თქვენი შვილი კარგი ბიჭია, მაგრამ ყველა უზრდელური სიმღერა იცის...

– რა, მღერის ხოლმე?

– არა, უსტვენს...

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– შენ მოგწონს დაკიდებულუკანალიანი ქალები?

– არა.

– და ოფლიანები?

– არა, ვერ ვიტან.

– და ქალებს, რომლებსაც იღლიებში სუნი სდით?

– ვერ ვიტან.

– მაშინ რა ჯანდაბად დაეთრევით ჩემს ცოლთან, როდესაც სახლში არ ვარ?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხატია ბუნიათიშვილი კარტიეს რეკლამაში გადაიღეს

პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი მსოფლიოში ცნობილი სამკაულების ბრენდის, „კარტიეს“, რეკლამაში გადაიღეს.

ბრენდის ახალ ვიდეორგოლში ხატიასთან ერთად ცნობილი მოდელები, მსახიობები, მუსიკოსები – მონიკა ბელუჩი, ლილი კოლინზი, უილოუ სმიტი, ელა ბალინსკა მონაწილეობენ.

„კარტიემ“ ახალი ვიდეორგოლი ორიოდე დღის წინ გაავრცელა და მას უკვე ათასობით ნახვა, მოწონება და გაზიარება აქვს.

ხატია ბუნიათიშვილი „კარტიეს“ სახეა. ქართველი პიანისტი ბრენდის უახლესი კოლექციების სარეკლამო ფოტოსესიებში აქტიურად მონაწილეობს.

ეკატერინე ტოგონიძის რომანი გერმანულად დაიბეჭდება

მწერლის ეკატერინე ტოგონიძის ერთ-ერთი ბოლო რომანი „შინ-შენ“ გერმანულ ენაზე გამოვა.

ეს არის ქართული პროზის მორიგი წარმატება საზღვრებს გარეთ. ეკატერინე ტოგონიძის რომანის გამოცემის უფლება ერთ-ერთმა ავსტრიულმა გამომცემლობამ მოიპოვა.

ეს გამომცემლობა მწერალთან პირველად არ თანამშრომლობს. მან უკვე გამოსცა ეკატერინე ტოგონიძის რომანები: „ქარიშხალი მარგო“ და „ასინქრონი“.

გიორგი ლობჟანიძეს ირანის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო გადაეცა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გიორგი ლობჟანიძე ირანის ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთი უმაღლესი საერთაშორისო ჯილდოთი – შაჰრიარის სამეცნიერო და კულტურული მედლით დაჯილდოვდა.

ეს ჯილდო ქართველ პოეტსა და მთარგმნელს ჯალალ ედ-დინ რუმის ქართული თარგმანისა და კომენტარებისათვის გადაეცა.

შაჰრიარის მედალს გასცემს თავრიზის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო რეგიონისა და მსოფლიოს იმ მკვლევართათვის, რომლებსაც დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ირანისტიკის განვითარებაში.

დაჯილდოება წელს მეექვსედ გაიმართა, გიორგი ლობჟანიძემდე კი სხვადასხვა წელს ეს მედალი მიღებული აქვთ სხვა ქართველ ირანისტებს: თსუ-ის ირანისტიკის მიმართულების ხელმძღვანელ თეა შურღაიას, პროფესორ ნომადი ბართაიასა და დოქტორ მაია სახოკიას.



ნუცა ხურციძე ბერძნული „ვოისის“ შემდეგ ტურში გავიდა

ქართველი მომღერალი ნუცა ხურციძე ბერძნულ „ვოისში“ მონაწილეობს. მან ბრმა მოსმენებზე მწვრთნელების დიდი მოწონება დაიმსახურა და ფრედი მერკურის „ბოჰემური რაფსოდიის“ შესრულებით ოთხივე მათგანი შემოატრიალა.

ნუცამ მწვრთნელების მოწონება მომდევნო ტურშიც დაიმსახურა, რიგნის ტურში მოწინააღმდეგეს აჯობა და სრულიად დამსახურებულად გამარჯვებას კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პოლიციელმა ქალი პოსუმის მძევლობისგან დაიხსნა

ახალი ზელანდიის ქალაქ დანიდინში პოსუმმა მძევლად აიყვანა ქალი და ადგილზე პოლიციის მისვლამდე სახლიდან არ უშვებდა.

პოლიციის უფროსმა სერჟანტმა კრეიგ დენისენმა განაცხადა, რომ მათთან განყოფილებაში ქალმა დარეკა და შეატყობინა, რომ ის მძევლად ჰყავდა აყვანილი აგრესიულ პოსუმს. მისი თქმით, მან სახლიდან გამოსვლა და მანქანამდე მისვლა ცადა, მაგრამ ცხოველი წინ გადაუდგა და აიძულა, უკან დაბრუნებულიყო.

პოლიციელები გამოძახების ადგილზე გავიდნენ და, როდესაც სახლის კართან მივიდნენ, მათ წინ ახალგაზრდა პოსუმი აღიმართა. ცხოველი ჩაბნელებული ადგილიდან გამოძვრა და ერთ-ერთ პოლიციელს ფეხზე ააცოცდა. ცხოველი დაიჭირეს, საცხოვრებელი რაიონიდან მოშორებით გადაიყვანეს და გაუშვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯვოსვოხდი ১



შვეულად: 1. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი; 2. ეგვიპტის ნახევარკუნძული წითელ ზღვაში; 3. ჯაზის იმპროვიზაციის სტილი; 4. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 6. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 9. სპირტიანი სასმელი; 11. სომეხთა მღვდელი; 15. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 16. ქართულ ბალეტ „გორდას“ პერსონაჟი; 17. თევზის ქვირითისაგან დამზადებული ძვირფასი საკვები პროდუქტი; 19. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 21. სოფლის შარაგზა; 22. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

თარაზულად: 5. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 7. საქართველოში გავრცელებული წითელი, ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 8. ერთი პროფესიის, ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 10. სესხად აღებული ფული; 12. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 14. ქართველი ქალი, ეროვნული გმირი; 18. პურეული მცენარე; 20. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 23. მაგისტრალის, მდინარის ქვემოთ გაყვანილი წყალგამტარი მილი; 24. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრაზილიელი ავტომრბოლელი; 25. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იტალიური ფირმა; 26. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 27. უსაფუძვლო, განუხორციელებელი პროექტი, გეგმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა